# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 22 დეკემბერი 2001 №245 (1518) | ფასი 50 თეთრი


# ქართულ ფეხბურთში დროც ფულივით იკარგება

## ფედერაცია უკანასკნელ ქონებასაც ანიავებს

გვყავს ფეხბურთელები, მწვრთნელები, საფეხბურთო მეცენატები, მაგრამ არ გვაქვს ჯანსაღი ფეხბურთი. ქართული ფეხბურთი, ჩემპიონატით, ევროტურნირებში მონაწილე კლუბებით, ეროვნული თუ ყველა სხვა დანარჩენი ნაკრებით სერიოზულად განუვითარებელი, ჩამორჩენილი და დაავადებულია. ასეთ დროს დრო ყველაფრის მკურნალი სულაც არ არის. პირიქით, მხოლოდ დროის აქიმობის იმედად ყოფნა უფრო აძაბუნებს საერთაშორისოს უზარმაზარი უფსკრულით მოწყვეტილ ქართულ საფეხბურთო სამყაროს. უფსკრულსგალმა თუ ხმა ათასი შენაყვირიდან ერთხელ მიაღწვდინეთ, ეს დიდი არაფერი მონდომება და ბევრი ვერაფერი ნუგეშია, რადგან გაღმა მყოფთ სანაღვლოდ საკუთარიც ჰყოფნით. საშველი უცოდინარობის უფსკრულის ამოვსება ან ამ უფსკრულზე ცოდნის ხიდის გადებაა. წამალიც მხოლოდ დროულია საშველი. ასეთ დროს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მხოლოდ დროის წამლობის იმედადაა, დროის გაყვანის ტაქტიკას ხვეწს და ჩვენს ფეხბურთს კარგა ხნის ნატკეპნი გზის ერთხელაც გავლას აიძულებს. გუშინწინ ფედერაციის აღმასკომმა საქართველოს ეროვნული გუნდის გაწვრთნა აქამდე უკვე ნაცად ალექსანდრე ჩივაძეს დააგალა. ჩივაძე ხელახლა მოვიდა ნაკრების სათავეში. სამაგიეროდ, დრო მიდის... დრო, რომელიც გაკოტრებული ქართული ფეხბურთის უკანასკნელი ქონებაა და ფედერაცია მასაც უმოწყალოდ ფლანგავს.



ქართული ფეხბურთის მაღვიძარა დუმს, დრო კი მიდის

იხილეთ მესამე გვერდი

# ვირებმა კაპელოს პირველი წიხლი უთავაზეს

წლეულს მსოფლიომ 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მოილია. წლეულსვე ევროპამ ჩემპიონთა ლიგის და უეფას თასის გამარჯვებულები გამოავლინა და ახალი სეზონიც დაიწყო. წლეულს ბევრმა ნაკრებმა თუ კლუბმა სიურპრიზი შემოგვთავაზა, მაგრამ 2001 წლის სენსაცია, გავბედავთ და ვიტყვით, იტალიური სერია B-დან ელიტაში წლეულს აღზევებული ვერონის გარეუბნის გუნდი „კიევოა". „მფრინავ ვირებად", „რომეოდ და ჯულიეტად", იტალიელ კოლეგათაგან სხვა ათასგვარი მეტსახელით მონათლული „კიევო" ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ლიგაში თავმომწონედ ყელყელაობს.

დღეს „კიევოს" მორიგი სასწაულის მოხდენა შეუძლია. ვერონის „მარკ ანტონიო ბენტეგოდის" სტადიონზე ჩემპიონ „რომას" მასპინძლობს და ვინძლო რონალდო-ვიერიან „ინტერს" კაპელოს „მგლებიც" ზედ დააყოლოს.

ფეხბურთელები მინდორზე ჯერ არ გასულან და ვერონაში უკვე საკრივო შეხვედრსინინა მაგვარი სიტყვიერი შეხლა-შემოხლა მოხდა.

მოაღო პირი რომაელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ და ჯერ გაზონქვეშ გათბობა მოგვეწესრიგებინათ და სერია A-ზე მერე გვეფიქრათო. ვალში არც „კიევოს" 33 წლის კონდიტერი პრეზიდენტი ლუკა კამპედელი დარჩა, შენგან სასწავლი არაფერი გვჭირსო...

საქმე ისაა, რომ სწორედ ვერონის სტადიონის გაყინული მინდვრის გამო გადაიდო წინა ტურის „კიევო" — „ლაციო", რომელიც 30 იანვარს გაიმართება. აქვე ისიც დავამატოთ, რომ შაბათ-კვირის მატჩების მერე სერია A საშობაო არდადეგებზე მიდის.

ინგლისში კი შობა-ახალ წელსაც არად დაგიდევენ და მაშინ, როცა ჩვენში ჭიქა თუ ყანწი უჭირავთ და გოზინაყს და საცივს შეექცევიან, იქ ბურთს აგორებენ. 2002 წლამდე რამდენიმე დღელაა დარჩენილი და ახლა იმაზე ვთქვათ, ამ უქმეებზე რა გველის პრემიერლიგაში. რა და, შაბათს „ლიდსი" — „ნიუკასლი", კვირას „ლივერპული" — „არსენალი". სატურნირო ცხრილის მონინავე ოთხეული კენწეროში დასარჩენად ბევრს იომებს, თავის გამოჩენას კი განსაკუთრებით 2001 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მაიკლ ოუენი ეცდება, „ოქროს ბიჭობას" საქმით, ანუ გოლით უნდა დამტკიცება.

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები





„კიევოს" მწვრთნელ ლუიჯი დელ ნერის ფაბიო კაპელოსთან ლაპარაკს თამაში ურჩევნია



REUTERS მარსელიდან

„მარსელი“ — „ლანსი“. მარსელელი ჟერომ ლეროი
სტუმრებმა ჟოსელინ ბლანშარმა (მარცხნივ) და ჟუან ლაშორმა მოიმწყვდიეს

# ბოლნისში ექვსზე ფიქრობენ

## სიონი ტყეში გავა

**ეროვნული** ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპის ბოლო ტურში სენსაცია გამოაცხო ბოლნისურმა „სიონმა“. ქვემოქართლელებმა სტუმრად ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ლოკომოტივი“ დაამარცხეს — 2:1. ამ ფაქტმა ბევრს ორი წლის წინანდელი ამბავი გაახსენა. „სიონმა“ მაშინაც სენსაციურად სძლია „ლოკომოტივს“ გასვლით მატჩში და ზედა ექვსეულის საგზური მოიპოვა.

ახალი წლიდან „სიონს“ ზეექვსეულში მოსახვედრად გვარიანი ოფლისღვრა მოუწევს, მაგრამ ქვემოქართლელები იმედიანად არიან და ერთი შეხედვით უპერსპექტივო სიტუაციაში სულაც არ იმყოფებიან.

ბოლნისელები საშემოდგომო ეტაპის შემდეგ მერვე ადგილზე არიან. ხუთი ქულით ჩამორჩებიან „ვიტ ჯორჯიას“, ექვსით — „დინამოს“, მაგრამ კონკურენტებისგან განსხვავებით უალრესად ხელსაყრელი კალენდარი აქვთ.

მარტში გასამართ დარჩენილ ოთხ მატჩში „სიონი“ აუტსაიდერ „გორდას“ სტუმრობს, შემდეგ საექვსეულოდ ფაქტობრივად საქმემოლეულ „ბათუმს“ მასპინძლობს. პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურში „მეტალურგს“ ხვდება საგარეო მატჩში, ბოლოს კი „თემურ სტეფანიაზე“ უშუალო კონკურენტ „ვიტ ჯორჯიას“ დაუხვდება.

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ „სიონის“ ხელმძღვანელობა ყველაზე მეტად იყო დაინტერესებული, გუშინწინდელ ალმასკომის სხდომაზე „ფეარ პლეის“ პრინციპების დამრღვევები დასჯილიყვნენ. ალმასკომს ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ დაიქადნა, სეზონის განახლებამდე ჩამწყობებს საკადრისად დავსჯიო. ეს კი სულ ცოტა იმას ნიშნავს, რომ ფოთის „კოლხეთს“ „ტორპედოსთან“ მასხარაობით მოპოვებულ სამ ქულას ჩამოართმევენ და „სიონს“ ზღვისპირელების გასწრების შანსიც გაუჩნდება.

მიუხედავად ამ „კალენდარული ფორისა“, „სიონი“ შორს ვერ წავა, თუკი მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერად არ გაიარა და რამდენიმე ფეხბურთელით არ გაძლიერდა. ამ მხრივ კი, როგორც ჩანს, პრობლემები არ ექნებათ ქვემოქართლელებს.

„სიონის“ პრეზიდენტი ზურაბ ლობჟანიძე იმედიანადაა განწყობილი და დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი საგაზაფხულოდ დიდ სიურპრიზს მოუმზადებს ქომაგებს.

— გადავწყვიტე, სერიოზულად მოვკიდო გუნდს ხელი. ერთი შეხედვით, შესაძლოა, ცოტა დაგვიანებულიც კი იყოს, მაგრამ მოვინდომებთ და თუ გაგვიმართლა, ზეექვსეულში შევალთ. რამდენიმე დღეში ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძესთან ერთად დავგეგმავ მოსამზადებელ პერიოდს. ერთის თქმა შემიძლია — გუნდს ფინანსურად არ გაუჭირდება და ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის ნაყოფიერად მოემზადება. გვსურს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის დამატებაც და ალბათ, ამ მხრივაც სასიკეთოდ გადაწყდება ყველაფერი — გვითხრა ლობჟანიძემ.

ბოლნისელებმა შინაური სარბიელის გაკოხტავება არ იკმარეს და „სიონისთვის“ ბაზის მშენებლობაც წამოიწყეს. სიონის გამგებლის, ზურაბ ჯაფარიძის თქმით, ბაზა ბოლნისის ტყე-პარკის ტერიტორიაზე გაშენდება, მშენებლობა უკვე დაწყებულია და გაისად შემოდგომაზე დასრულდება.

**პაატა ძვანტალიანი**



„სიონის“ პრეზიდენტი ზურაბ ლობჟანიძე და ბოლნისის გამგებელი
ზურაბ ჯაფარიძე გუშინწინდელ ალმასკომის სხდომაზე

### ინგლისი

**მეორე დივიზიონი**
**XXIII ტური**

ბრენტფორდი 3:0 ნორთჰემპტონი
ბრაიტონი 2:2 ჩესტერფილდი
ნოტსი 3:1 სუინდონი
ოლდემი 2:0 პორტ ვეილი

**მესამე დივიზიონი**
**XXIII ტური**

ჰალი 0:0 საუთენდი
მანსფილდი 0:1 ექსეტერი
შრიუსბერი 1:1 მაკლსფილდი
სუონსი 2:1 როჩდეილი

### ჰოლანდია

**პირველი დივიზიონი**
**XIX ტური**

სპარტა — ალკმაარი გადაიდო

**მეორე დივიზიონი**
**XIX ტური**

ვენლო 2:0 როზენდალი
კამბური 2:1 ჰელმონდი
ეინდჰოვენი 0:1 ექსელსიორი
მაასტრიხტი 7:0 ოსი
ტელსტარი 1:2 ზვოლე
დორდრეხტი 3:1 ჰაარლემი

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**XIX ტური**

მარსელი 1:2 ლანსი

### ბელგია

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

ანდერლეხტი 1:0 ბრიუგე

### თურქეთი

**XVII ტური**

გალათასარაი 2:1 ფენერბახჩე


**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი**

**კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა**

**გულის დაავადებების თანამედროვე სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა**

- კვალიფიციური კარდიოლოგიური კონსულტაცია
- გულის ტრანსეზოფაგური და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგური ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება

თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)

☎ 53-73-00; 95-00-33

# უარი უცხოელს, ჩივაძე უცხოეთს

## რას გვამცნობენ ვარსკვლავები

**ქართულ** სპორტულ მედიას და მის მკითხველ-მსმენელს ის დროც ახსოვს, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრობა მასონთა ლოჟის წევრობაზე უფრო საიდუმლო რამ იყო.

სამი წლის წინ გაპრეზიდენტებულმა მერაბ ჟორდანიამ ახალჩამოყალიბებულ აღმასკომს დღის სინათლე კი უჩვენა, თუმცა ამან სფფ-ს უმაღლესი ორგანოს აზროვნება უწინდებური სიბნელიდან, ეტყობა, მაინც ვერ გამოიყვანა.

ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა:

საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელთა ერთსულოვნად დანიშვნა თუ ჩაწყობილი მატჩების თაობაზე გაუთავებლად კამათი ერთნაირად მიანიშნებს აღმასკომის უსუსურობაზე.

აღმასკომი ახლა ისე უუნაროა, როგორც არასდროს. მისი ბევრი წევრი ბევრად უფრო კომპეტენტური სხვა ნებისმიერ სფეროშია, ვიდრე ფეხბურთში.

არავის მახვილ თვალს არ გამოეპარებოდა, რა უკმაყოფილო სახე ჰქონდა გუშინწინდელი სხდომის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც თანაკლუბელმა პრეზიდიუმში საკუთარი ადგილი დაძალებით დაუთმო. ვიდრე, სფფ-ს აღმასკომში ასეთი რამ ხდება, რა ხეირს უნდა ველოდეთ მისგან.

განა, მხოლოდ ეს. სხვები?

აღმასკომის წევრთაგან ძალიან ცოტას ჰყოფნის სითამამე, ამა თუ იმ მოვლენაზე საკუთარი, სხვისგან განსხვავებული აზრი ჰქონდეს და გამოთქვას. არც ერთია იმდენად თავზეხელაღებული, საკუთარ პრეზიდენტს ხასიათი აბეზარი ჟურნალისტივით გაუფუჭოს და ჰკითხოს: ასეთი ცოდვა რა აქვს პრეზიდენტს მიუტევები?

აღმასკომს არ ჰყოფნის გამბედაობა უსაფუძვლო უფლებების მინიჭებაზე უარი უთხრას მერაბ ჟორდანიას, რომელიც ისევე დაუმტკიცებს ნებისმიერი ჩაწყობილი მატჩის მონაწილეს ბრალეულობას, როგორც მასვე უმტკიცებენ ქართველი სამართალდამცავები.

ამჟამინდელ აღმასკომს არ შეუძლია სიურპრიზის შემოთავაზება. იგი პრეზიდენტის უხმოდ მორჩილია და რაკი პრეზიდენტმა მოიწადინა საქართველოს ნაკრებს უცხოელი კი არა, ქართველი მწვრთნელი ჰყოლოდა, აღმასკომიც დაეთანხმა მას.

გულის სიღრმეში ბევრი სხვაგვარად ფიქრობს, ბევრს ეპარება ეჭვი, რომ ეს გზა ჩვენს ნაკრებს და მის თავკაც ჩივაძეს ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მასპინძელ პორტუგალიამდე მიიყვანს. ეეჭვებათ, მაგრამ არავინ ამჟღავნებს.



აღმასკომის გუშინწინდელი სხდომისას ჩაწყობილ მატჩებზე ლაპარაკს ხელების შლა და დაკაპიწება მოჰყვა

დაპირებულ უცხოელ სპეციალისტზე ლაპარაკიც აღარაა. არავინ ახსენებს მაგალითს, რომელიც ფედერაციას ცხვირწინ აქვს — საქართველოს რაგბის კავშირი ხომ სფფ-ს კარის მეზობელია.

თურმე ნუ იტყვით და ქართველზე უკეთ ვერავინ აუღებს ალღოს ჩვენებურ მენტალიტეტს. მაშ, სორელი ვინ ლაა, ბებია ხომ არ ჰყავდა რაჭველი?

უფრო ფეხბურთელებს ხომ არ მართებთ მენტალიტეტის შეცვლა და ევროპულთან თუ არა, ქართულ, სარაგბოსთან მაინც მიახლოვება?

ჩვენი ფედერაციის აღმასკომს ეშინია, რომ მცოდნე უცხოელის ხელში საქართველოს ნაკრების თამაში მინიმალურად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არიან (საფეხბურთო) ცაზე განლაგებული (ქართველი) ვარსკვლავები. ეშინია, რომ უცხოელს გამოუჩნდებიან უკმაყოფილო ფეხბურთელები.

და განა, ქართველს ყველა კმაყოფილი დაურჩება?

ყველა აღსაზრდელი ერთნაირად კმაყოფილი მწვრთნელს კი არა, ბაღის მასწავლებელს არ ჰყავს. ნაკრებში კონკურენციისთვის კლუბზე დიდი ასპარეზია და იქ სადაც კონკურენციაა (ცხადია, ჯანსაღი), ისევე ვერ იქნება ყველა კმაყოფილი, როგორც სატრანსფერო პრაგმატიზმის კომფორმისტულ გარემოში.

არადა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელად გუშინწინ დამტკიცებულ ალექსანდრე ჩივაძეზე საუბრისას ყველა ერთსულოვნებაზე ამახვილებს ყურადღებას. ამ ბოლო ხანს, ლამისაა, წების სახელი ჩვენში ჩივაძესთან გააიგივონ — მან გახლეჩილი ნაკრები გაამთლიანა, შეაწებაო.

ვთქვათ, ჩივაძე მართლაც კასიუს კლეია, ყველა მოწინააღმდეგეს ხელები გადაუგრიხა, სხვადასხვა მხარეს მდგომი ორპოლიუსიანი მაგნიტივით მიიზიდა და ერთ გუნდად შეადუღაბა.

იყოს ასე. მით უმეტეს, ამ სიმართლის მარცვალიცაა, მაგრამ [illegible] ვიკითხოთ, ვინ გახლიჩა შუაზე ქართული საფეხბურთო სამყარო? ვინ გაჰყო ნაკრები ორად თუ მეტად? ვინ დაანაწილა ფეხბურთელები ამომავალ ვარსკვლავებად და მეტეორებად, გასაყიდებად და განაყიდებად, სოფლელებად და ქალაქელებად?

ამ კითხვაზე პასუხის მოსაძიებლად არც ამბიციური რევაზ ძოძუაშვილის გახსენებაა საჭირო და არც აწგანსვენებული დავით ყიფიანი სულის შეწუხება.

დამნაშავის ძიებისას კვალი აქაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და მის აღმასკომთან მიდის, რომელსაც მომავალზე ფიქრით არც მაშინ გასკდომია თავი, ნაკრებს ორი თავი რომ დაადგა.

გაუგებარია, ეს აღმასრულებელი კომიტეტი ცოდვილ ქართულ ფეხბურთს ღმერთმა აღსასრულისთვის ხომ არ მოუვლინა?

სამაგიეროდ, გასაგებია, რომ თავად ჩივაძესაც ვერ გაუგია რას ერჩიან მას, ბოლო ოთხი მატჩის არწამგებს, გაყოფილის გამამთლიანებელს, ჟურნალისტები თუ არაჟურნალისტები.

ჩივაძე ხომ საყვედურს აქამდე ყველაზე ნაკლებად იმსახურებს და თუკი აწი დაიმსახურებს, საკადრისი საყვედური როცა შეხვდება, მაშინაც ეყოფა.

კარგისთვის ვერც ვერავინ უსაყვედურებს და არც საყვედურობს.

სასაყვედურო ერთადერთია: ამ ხვეწნა-მუდარით გამონაწირი თანხმობით ჩივაძეც ეთანხმება მათ, ვინც მის შესაძლებლობებს არაადექვატურად აფასებს.

პატიოსნება და ნიჭიერება, თვინიერ საფუძვლიანი ცოდნისა, ძალიან ცოტაა ჩამორჩენილი ქართული ფეხბურთის განსავითარებლად და საშველად.

ალექსანდრე ჩივაძის საფეხბურთო კარიერამ ქართულ ფეხბურთს მისცა თვალუწვდენელი სიდიდის ვარსკვლავი, რომლის სამწვრთნელო კარიერა ამ სიდიადეს თუ რამეს მოაკლებს, თორემ ვერ შემატებს. სჯობდა ჩივაძე დარჩენილიყო მხოლოდ დიდ ფეხბურთელად და არავის ევაჭრა, მისი თანხმობით თუ თანხმობის გარეშე, ჩივაძის ავტორიტეტით.

იმედს კი ბოლომდე ნურავინ გადაიწურავს. საქართველოს ნაკრების თავკაცი პორტუგალიაში მაინც წავა და უფრო ადრეც: ალექსანდრე ჩივაძე 25 იანვარს პორტუში ევროპის ჩემპიონატის წილისყრას უნდა დაესწროს.

**ვახტანგ მზიკაძე**

# დეკანოსიძეს ფიურტი 75 წუთით ანდეს

*მეორე სეზონს ატარებს გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში, თუმც თამაში იშვიათად უწევს. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 20 წლის ნახევარმცველი გიორგი დეკანოსიძე „ფიურტში" თბილისის „ვიტ ჯორჯიადან" გადავიდა. სადებიუტო სეზონში ასე თუ ისე თამაშობდა გერმანული კლუბის შემადგენლობაში, წლეულს კი... ბოლო ტურში, ალბათ, სულაც არ ელოდა თამაშს... სწორედ ამ დროს გაუღიმა ბედმა და ამ სეზონში პირველად გამოჩნდა „ფიურტის" ძირითადში. გამოჩნდა და თავიც არ შეურცხვენია — მისმა გუნდმა სტუმრად 2:1 დაამარცხა „ობერჰაუზენი", გიორგი კი 75-ე წუთზე შეცვალეს.*

***გუშინ გიორგი დეკანოსიძე „სარბიელს" ესაუბრა:***



გიორგი დეკანოსიძეს „ფიურტის" ძირითადი ელირსა

**— წლეულს პირველად ითამაშე ძირითად გუნდში.**

— ძალიან გახარებული ვარ. ვერც კი წარმოვიდგენდი, თამაში თუ მომიწევდა. ამ ბოლო დროს ხომ განაცხადში მოხვედრაც სანატრელი მქონდა. რამდენიმე დღის წინ მთავარმა მწვრთნელმა ეუგენ ჰახმა დამიძახა, მითხრა, შენთან სალაპარაკო მაქვსო. თურმე ფეხბურთელებს გაესაუბრა და ყველამ კარგად დამახასიათა. ამას თავისი შეხედულებაც დაემატა და აგერ შანსიც მომცა.

**— აქამდე შენს შესახებ არაფერი იცოდა?**

— თითქმის არაფერი. სულ რაღაც ერთი კვირაა, რაც ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. მანამდე მეორე გუნდში ვიყავი, თუმც იქაც იშვიათად ვთამაშობდი

**— რატომ?**

— მეორე გუნდის მწვრთნელთან ურთიერთობა ვერ ავაწყვე. ახლა ამაზე ლაპარაკი არ მინდა. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

**— „ობერჰაუზენთან" შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. გოლი არ გამიტანია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდისთვის სარგებელი არ მომიტანია. თანაც ამას სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობაც დაუმატეთ. ალბათ, სწორედ ამის ბრალი იყო, მატჩის მიწურულს რომ შემცვალა მწვრთნელმა. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მთელი 90 წუთი ვერ გავძელი.

**— შარშან ბუნდესლიგის საგზურისთვის იბრძოდით. წლეულს რა გეგმები აქვს „ფიურტს"?**

— ბუნდესლიგაში გადასვლაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. შანსი გვაქვს, მაგრამ სეზონის ბოლომდე საკმაო დროა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**— როგორც ვიცით, კონტრაქტი მალე გიმთავრდება.**

— 2002 წლის ივნისის ბოლოს „ფიურტისგან" თავისუფალი ვიქნები. თუმც ამაზე ჯერ არ ვფიქრობ. კონტრაქტის ბოლომდე, ალბათ, „ფიურტში" დავრჩები. ახალ კლუბში გადასვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ. თუ კონტრაქტის გაგრძელებას შემომთავაზებენ, დავთანხმდები. აქაურობას შევეჩვიე — გუნდსაც, ქალაქსაც. ყველაფრის ახლიდან დაწყება კი გამიჭირდება. თუმც ჩემთვის მთავარია, ფეხბურთი ვითამაშო.

**— პირველი წრე დასრულდა, ახლა რას აპირებ?**

— 3 იანვრამდე შვებულებაში ვარ. მანამდე კი, ალბათ, საქართველოში ჩამოვალ. ნაახალწლევს კი კვლავ გერმანიას ვეწვევი. გუნდი შეიკრიბება და საწვრთნელ შეკრებაზე ესპანეთში წავალთ. მეორე წრისთვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ.

**ბაბა ზალამბერიძე**

# შვიდეულმა ფანჯარა გაჭრა

## თუთარაშვილი პირველია

**საშემოდგომო** ეტაპი დამთავრდა და გივი ნოდიამ თბილისის „დინამოს" შვიდი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა. ამ ფაქტს რეზონანსი კი მოჰყვა, მაგრამ ახლა ის უნდა გაირკვეს, შერისხული შვიდეულიდან ვინ რომელ გუნდში გადავა.

როგორც ჩანს, ყველას ნიკა თუთარაშვილი დაასწრებს. ეს მაღალი (186სმ), ხმელ-ხმელი ფორვარდი წინა სეზონის საგაზაფხულო ეტაპიდან გამოჩნდა „დინამოს" პირველ გუნდში. მან რამდენიმე მატჩი ჩაატარა, გულშემატკივარს კი ყველაზე უფრო, ალბათ, „დინამო" — „კოლხეთის" პლეიოფური მატჩით დაამახსოვრა თავი. მაშინ „დინამომ" 2:1 მოიგო და დინამოელთაგან მეორე გოლი სწორედ ნიკა თუთარაშვილმა გაიტანა.

„დინამოში" გივი ნოდიას მისვლის შემდეგ რევაზ არველაძისა და გოჩა ტყებუჩავას მოწონებულ ამ ფეხბურთელს სასტარტოში ერთხელაც არ უთამაშია. შედეგად 20 წლის ფორვარდი „დინამოდან" დაითხოვეს. ახლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ნიკა თუთარაშვილი „ვიტ ჯორჯიაში" ითამაშებს. გარიგების დეტალები უცნობია, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, „დინამო" სულგრძელად დათმობს მოკვეთილ ფორვარდს.

**დავით თავართქილაძე**



გაბრიელ ომარ ბატისტუტას თანაგუნდელები მსოფლიოს თასს ხომ არ აჩვენებენ?

# ხმათა თამაში

## 24-ით ცოტა არგენტინის სასარგებლოდ

**სააგენტო** „როიტერის" მიერ მოწყობილი გამოკითხვით, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტად არგენტინის ეროვნული გუნდი დასახელდა. გამოკითხვაში 31 ქვეყნის 40-მა ჟურნალისტმა და სპორტულმა მიმომხილველმა მიიღო მონაწილეობა. არგენტინამ დიდი სხვაობით გაიმარჯვა, მან 24 ხმა მიიღო, მსოფლიოსა და ევროპის ამჟამინდელმა ჩემპიონებმა, ფრანგებმა — მხოლოდ 7, მესამე ადგილზე იტალია და ინგლისი გავიდნენ. ბრაზილიის გაჩემპიონება მხოლოდ ორმა ჟურნალისტმა მიიჩნია სარწმუნოდ, მეხუთე ადგილი კი პორტუგალიამ დაიკავა.

ცხადია, არგენტინას 24 ხმა სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში ბრწყინვალე თამაშმა და იოლად დაკავებულმა პირველმა ადგილმა მოუტანა. მან რამდენიმე შთამბეჭდავი ამხანაგური მატჩიც გამართა. თუნდაც იტალიასთან სტუმრად გამარჯვება რად ღირს. აღსანიშნავია, რომ არგენტინის უპირობო ფავორიტობაში ეჭვი არ ეპარებათ იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მის ჯგუფში ინგლისი, ატლანტის ოლიმპიური ჩემპიონი ნიგერია და კერკეტი კაკალი შვედეთიც არიან.

— მათ ყველაფერი აქვთ. ბრწყინვალე ფეხბურთელები, ბრწყინვალე გუნდი, გამარჯვებისკენ სწრაფვა — ეს სიტყვები შვეიცარიელ ჟურნალისტს, პიტერ ლერჩს ეკუთვნის.

ბრაზილიელი ანდრე ფონტელენის აზრით, არგენტინა ფავორიტია, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში ინგლისის ნაკრებთან ერთად მოხვდა:

— მათ შესანიშნავი თაობა ჰყავთ. ახლა არგენტინელებს სავსებით ხელეწიფებათ ტურნირის მოგება.

ძირითადი მსჯელობა, ცხადია, მაინც „სიკვდილის ჯგუფის" გარშემო მიმდინარეობდა, სადაც ყველა როდი იზიარებდა აზრს არგენტინელთა უპირობო ფავორიტობის შესახებ. სამხრეთაფრიკელი ჰოვარდ დონალდსონის აზრით, ინგლისელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა იცის, როგორ მოამზადოს თავისი გუნდი სამხრეთამერიკელებთან მატჩისთვის. მისი თქმით, ინგლისს ნებისმიერი ნაკრების დამარცხება შეუძლია. პორტუგალიელი ვიქტორ სერპას აზრით, უმთავრესი ფავორიტები ევროპელები — ინგლისი და საფრანგეთი იქნებიან. საფრანგეთის ფავორიტობის მიზეზებს, ცხადია, კვლევა არ სჭირდება, აი, ინგლისის ძირითად ფავორიტთა მარაქაში გარევას შესარჩევ ციკლში გერმანიის შინ 5:1-ით განადგურებამ მისცა საფუძველი.

მიმომხილველთა აზრით, იტალიის ნაკრებიც უპრობლემოდ გავა ჯგუფიდან, სადაც მეტოქეებად ხორვატია, მექსიკა და ეკვადორი ჰყავს, მაგრამ რამდენად შორს წავა პლეი ოფში, ამაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ სამ ჟურნალისტს სჯერა „სკუადრა ადურას" გაჩემპიონება.

ორმა შეაწია ხმა მსოფლიოს ყველა ჩემპიონატის მონაწილე ბრაზილიელებს. ეს, ცხადია, შესარჩევ მატჩებში და კოპა ამერიკაზე სუსტი გამოსვლის შედეგია. „ბანგკოკ პოსტის" ჟურნალისტს როჯერ კრუჩლის კი სჯერა, რომ ბოლო წლებში უსუსტესი თამაშის შემდეგ ბრაზილია სწორედ კორეა-იაპონიაში აჩვენებს საუკეთესო თამაშს, რაშიც იქნებ მომჯობინებული რონალდოც დაეხმაროს.

ტოკიოს „ასაში შიმბემის" ევროპელი მიმომხილველი ჯერემი უოლკერი კი ერთადერთია 40 გამოკითხულიდან, ვისაც პორტუგალიელთა გამარჯვების სწამს — ცხელი და ნესტიანი კლიმატის პირობებში ბურთის ფლობის ხელოვნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებაო. ამ დროს კი პორტუგალიას ლუიშ ფიგუ და რუი კოშტა ჰყავს, ეს ორი ჯადოქარი. თანაც, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამჯერად ჩემპიონატი არც ამერიკის კონტინენტზეა და არც ევროპაში. ასე რომ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ვფიქრობ, პორტუგალიას უფრო მეტი შანსი ექნება, ბობოლები დაამარცხოსო.

**სერგი ქორიძე**

# მექსიკა მექსიკას ვერ ნახავს?



მექსიკელ ქომაგს სიხარული შესაძლოა ტელევიზიამ ჩაუშხაროს

**ტრანსნაციონალურმა** ტელეკომპანია „დირეკ ტივიმ", რომელიც ლათინური ამერიკის ქვეყნებს მოიცავს, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის 64-ვე მატჩის ტრანსლაციის უფლება იყიდა.

რომ იყიდა, თავადაც ხომ უნდა მიჰყიდოს ამ რეგიონის ქვეყნებს, ჰოდა, ორ მექსიკურ ტელეკომპანიას — „ტელევისტას" და „ტივი აცტეკას" შეუთვალა, თუ გინდათ, თქვენს აუდიტორიას თამაშები ანახოთ, თითოეულმა 50-50 მილიონი ჩაგვითვალეთო. თვითონ „დირეკ ტივის" ტრანსლაციის უფლებაში 440 მილიონი დოლარი აქვს გადახდილი.

მექსიკის ნაკრები კი, როგორც იცით, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. როგორი საქმეა, ჯერ იმაზე ინერვიულა გულშემატკივარმა, მოხვდებოდა თუ არა მისი ქვეყნის ნაკრები მთავარ საფეხბურთო ფორუმზე, ახლა კი, შესაძლოა, ნაკრების თამაში ვერც იხილოს.

ზემოთ ხსენებულმა ორმა ტელეკომპანიამ კატეგორიული უარი განუცხადა „დირეკ ტივის" თანხის გადახდაზე, ყველაფერი რომ გავყიდოთ, 50 მილიონ დოლარს მაინც ვერ მოვაგროვებთო. „ტელევისტამ" და „ტივი აცტეკამ", თუ გნებავთ, 15 მილიონ დოლარს მოგაშავებთო, რაზეც პასუხად მიიღეს, ჩვენ სანტა კლაუსები არა ვართ და საჩუქრებს არ ვარიგებთო. „დირეკ ტივის" ვიცე-პრეზიდენტმა რაულ რეიესმა ჟურნალისტებს განუცხადა: „ჩვენი ფირმა იზარალებს, მაგრამ მექსიკურ ტელეკომპანიებს მუქთად მატჩებს არ მიჰყიდის".

ცხადია, მექსიკურ ტელეკომპანიებსაც აქვთ არგუმენტები. ისინი იხსენებენ, რომ 1998 წელს მათ მატჩების ტრანსლაციის უფლებისთვის დაახლოებით 14 მილიონი დოლარი გადაიხადეს. გარდა ამისა, შეხვედრათა უმრავლესობა კორეა-იაპონიაში მექსიკის დროით ღამის 12 საათიდან დილის 7 საათამდე გაიმართება. ასეთი დრო კი რეკლამის შემკვეთებს ნაკლებად აინტერესებთ და თანხების მოზიდვა ერთიორად ძნელდება.

თუკი მხარეები იანვრის ბოლომდე ვერ შეთანხმდებიან, მექსიკელი გულშემატკივრების უმრავლესობა მსოფლიოს ჩემპიონატს ვერ იხილავს. ხოლო იმათ, ვინც სხვებზე შეძლებულნი არიან, „დირეკ ტივის" თანამგზავრული ანტენის ყიდვა მოუწევთ, რომელიც საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არ მივიღებთ იმ პირებს, ვინც...

**იაპონელები** თადარიგიანი ხალხია და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს არეულობების აღსაკვეთად აქედანვე ემზადებიან. იაპონიის ფინანსთა სამინისტრომ 75 მილიონი დოლარი გამოყო წესრიგის დამცველთა სპეცრაზმების შესაქმნელად და მათი აღჭურვილობის შესაძენად. გარდა ამისა, დაფინანსდება გამოცდილ ევროპელთა ჯგუფი, რომელსაც საფეხბურთო ხულიგნების დაკავებაში ჭიპი აქვს მოჭრილი. ფინანსთა სამინისტრო კიდევ 5 მილიონ დოლარს გამოყოფს უშიშროების იმ სამსახურისთვის, რომელიც იაპონიის საზღვაო საზღვარს იცავს. იაპონიის პარლამენტმა კი ახალი კანონიც კი მიიღო. იგი საიმიგრაციო სისტემის კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ქვეყანაში არ შეიშვებიან ხულიგნობაში შემჩნეული პირები. იმ უცხოელებს კი, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევენ, დაუყოვნებლივ მიაბრძანებენ სამშობლოში.

# ფული საფულეში!

## ბრძანა ბლატერმა

**ფიფას** პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა თავისი ხელქვეითები უწესობაში ამხილა. მას სურს, რომ აღმასრულებელი კომიტეტის 23 წევრისთვის მორალური კოდექსი შეიმუშავოს, რათა ისინი შავბნელ საქმეებში არ გაეხვიონ და მსოფლიოს ფეხბურთის ფედერაციის რეპუტაცია არ შელახონ. ამ წამოწყების მიზეზი კომიტეტის ორი ამერიკელი წევრია, რომლებიც თითქოს და საეჭვო, არალეგალურ ბიზნესშია გარეული.



იოზეფ ბლატერი

„ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ფიფაში ასეთი ხალხი მუშაობდეს" — ბრძანა პრეზიდენტმა. გარდა ამისა, წლის ბოლოს მოხდება ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის რევიზია, რადგან ფიფას ამ სფეროშიც ბევრი რამ მოსაწესრიგებელი აქვს. ხელმძღვანელობა ეჭვობს, რომ ზოგიერთი თანამშრომელი, ვისაც სალაროზე ხელი მიუწვდება, ამით ბოროტად სარგებლობს.

ზეპ ბლატერმა ისიც თქვა, მსოფლიოს მომავალი ჩემპიონი 12 400 ათას შვეიცარიულ ფრანკს მიიღებსო. ეს 70 პროცენტით მეტია, ვიდრე 1998 წელს. მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებზე მთლიანობაში 201 მილიონი შვეიცარიული ფრანკი დაიხარჯება. ყველა ფინალისტს უკვე მიიღო ერგო მილიონი.

**ვაჟა ხუციშვილი**

# თუ გერმანია ჩემპიონი გახდება...

**რუდი ფიოლერის** თითოეული შეგირდი 92 ათასი ევროთი (83 ათასი დოლარი) გამდიდრდება, თუ კორეა-იაპონიიდან სამშობლოს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დაუბრუნდება.

ფეხბურთელთათვის ჰონორარების რაოდენობაზე გერმანიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფარფელდერი ბუნდესნაკრების კაპიტან ოლივერ ბირჰოფთან და ვიცე-კაპიტან ოლივერ კანთან საუბრისას შეთანხმებულა. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 15 ათასი ევროთი მეტია წინა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დანიშნულ პრემიაზე.

ასევე ითქვა, ფინალისტობისთვის თითოეულ გერმანელს 71 ათას ევროს მისცემენ, ნახევარფინალში გასვლისთვის — 61 ათასს, მეოთხედფინალისტობისთვის — 35 ათასს, ხოლო მერვედფინალისტობისთვის — 25 ათას ევროს. მაგრამ თუ გერმანელები ჯგუფურ ეტაპსაც ვერ დასძლევენ, ერთ ევროსაც არ მიიღებენ.

ცნობისთვის: 1990 წელს, როცა გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ, თითოეულ ფეხბურთელს 125 ათასი მარკა (60 ათასი დოლარი) ერგო, ხოლო ევრო-96-ის მოგებისთვის — უფრო ნაკლები, 100 ათასი გერმანული მარკა.

**ლუბა გეგეჭკორი**



გერმანიის ფეხბურთის კავშირის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ფარფელდერმა (მარცხნივ) რუდი ფიოლერს პრემიები დაუთვალა

## მერკონორტეს თასი

ფინალი. საპასუხო მატჩი. 20 დეკემბერი

ემელეკი (ეკვადორი) 1:1 (პენ. 1:3) მილიონარიოსი (კოლუმბია) (1:1)

## ესპანეთი

თასის მეოთხედფინალის წილისყრა

კორდოვა (II) — ფიგერესი (III)

დეპორტივო — ვალიადოლიდი

რეალი — რაიო ვალეკანო

ვილიარეალი — ბილბაო

პირველი მატჩები გაიმართება 2002 წლის 9 იანვარს, საპასუხოები — 16 იანვარს

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ბოიერს არაყმა ბავშვები შეაყვარა

**ეტყობა**, „ლიდსის“ ფეხბურთელთა და აზიელ ყმაწვილს შორის მომხდარ ორი წლის წინანდელ გახმაურებულ ინციდენტს წერტილი უახლოეს მომავალშიც არ დაესმევა. უმოწყალოდ ნაცემი სარფრაზ ნაიჯების ოჯახი — მამა, ნათესაობა და, ალბათ, პაკისტანელთა მთელი ბრიტანული სათვისტომოც დრტვინავს. ჯონათან ვუდგეიტის და ლი ბოიერის ფულადი ჯარიმა, მათი ძმაბიჭი კლიფორდის ექვსი წლით გისოსებს იქით მოთავსება საკადრისი და საკმაო სასჯელი არ არისო — გაიძახიან და ამგვარი განაჩენის გამომტან სასამართლოზე მაღლა მდგომ უწყებებში აპირებენ საქმის გარჩევას. გარდა ამისა, როგორც ადრე გაუწყეთ, თავიანთი განსაზღვრებით „რასიზმის მსხვერპლნი“ აპირებენ კლუბსაც უჩივლონ. მავანი დაკვირვებული შეამჩნევს და დაეჭვდება — ცბიერი აზიელები ხომ არ აპირებენ, საწყალი სარფრაზის შარი ხეირად აქციონ, მარტივად რომ ვთქვათ, „ლიდსს“ ფული დასცინცლონ?

აზიელებისა რა მოგახსენოთ და იორკშირულმა კლუბმა თავის გიჟმაჟ ჯეელებს, თავზე ხელი როდი გადაუსვა. სასამართლოსგან დანდობილთ „ლიდსმა“ ფულადი ჯარიმა აჰკიდა. ვუდგეიტი უცებ დაეთანხმა კლუბის მესვეურთა გადაწყვეტილებას, მაგრამ ლი ბოიერი გაჯიქდა და გუნდის ხელმძღვანელობამაც არ დაახანა. ახალგაზრდა ლიდსელი უმალ სატრანსფერო ფურცელზე მოხვდა. კლუბის თავკაცს პეტერ რიდსდეილს 15 მილიონ გირვანქად შეფასებულ ლი ბოიერის დათრევის მსურველებიც მალევე გამოუჩნდა. საქმის ასეთნაირად შებრუნების შემდეგ ლიც დაფიქრდა და შესაშური ოპერატიულობით თავისთვის და კლუბისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო. ადრე



ჯონათან ვუდგეიტი



ლი ბოიერი

უარზე მდგომი რატომღაც ხალისით დათანხმდა ოთხი კვირის ჯამაგირი „ლიდსის“ ყულაბაში ჩაეგდო. ეს იყო და, კლუბმა და ფეხბურთელმა ხელი ხელს დაჰკრეს და ლი ბოიერი სატრანსფერო ფურცლიდან უმალვე „ნიუკასლთან“ მომდევნო პრემიერლიგური თამაშის განაცხადში აღმოჩნდა. ამით, ცხადია, ორივე მხარე კმაყოფილია.

მოსაწონი კიდევ ერთია. ლი ბოიერისა და ჯონათან ვუდგეიტის ათი ათასობით საჯარიმო გირვანქა, რომელიც კლუბმა ფეხბურთელებს ალკოჰოლთან მეგობრობის გამო დააკისრა, კარგ საქმეს მოხმარდება. „ლიდსი“ ამ ფულიდან პენსსაც კი არ ჩაიჯიბავს. ლისა და ჯონათანის პატიოსანი შრომით გამომუშავებული, მერე კი იძულებით კლუბისთვის „ნაჩუქარი“ ფული ქალაქ ლიდსის ცენტრის კეთილმოწყობას და, რაც ყველაზე გულისამაჩუყებელია, საბავშვო სააავადმყოფოს ახლებურად აღჭურვას მოხმარდება.

ამ კარგი საქმისთვის მაინცდამაინც ნაიჯების ცემა იყო საჭირო?

**გიორგი გაგარდაშვილი**

# წლის ფრანგი ლონდონელია



პატრიკ ვიეირა

**საფრანგეთის** წლის საუკეთესო ფეხბურთელად ლონდონის „არსენალისა“ და საფრანგეთის ნაკრების ნახევარდაცვის ბურჯი პატრიკ ვიეირა დაასახელეს. 25 წლის საყრდენ ნახევარმცველს ბევრი აქამდეც მიიჩნევდა არა მარტო საფრანგეთის, არამედ მსოფლიოს საუკეთესო საყრდენად.

ამგვარი გამოკითხვა საფრანგეთში 1958 წლიდან ტარდება და მათი ლაურეატები გამხდარან ისეთი ფეხბურთელები, მიშელ პლატინი და ზინედინ ზიდანი რომ არიან, პირველი გამარჯვებული კი შვედეთის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ჟიუსტ ფონტენია (13 გოლით), რომლის მიღწევაც დღემდე მიუწვდომელი რჩება.

ვიეირამ გამოკითხვის შედეგად 105 ქულა დააგროვა და 10 ქულით მოიტოვა თანაგუნდელი ტიერი ანრი, ხოლო ზიდანი — მთელი 30 ქულით. „კანში“, სადაც ვიეირა პროფესიონალ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, პირველად „მილანის“ ქორისთვალება სელექციონერებმა შეამჩნიეს, მაგრამ ფეხბურთელისთვის სერია ხანმოკლე აღმოჩნდა. მან პრემიერლიგას მიაშურა, სადაც თანამემამულე ემენუელ პეტისთან ერთად „არსენალის“ განუყოფელი ნაწილი შეიქნა. 1998 წელს მათი ნახევარდაცვაში შეხმატკბილებული თამაშის შედეგად „მეთოფეებმა“ დუბლი შეასრულეს, ჩემპიონებიც გახდნენ და თასიც მოიპოვეს. იმავე წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე პატრიკი ძირითადად შეცვლაზე თამაშობდა, ორი წლის შემდეგ გამართულ ევრო 2000-ზე კი მან ნაკრების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

**ირაკლი ნინიძე**

## ფეხბურთის [illegible]



**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ ხელმძღვანელობა ფეხბურთელის დასჯას აპირებს. მის ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ. ორიოდ დღის წინ კლუბმა ერთ-ერთ ბარში საშობაო ზეიმი მოწყო, სადაც ფეხბურთელებმა ალკოჰოლური სასმელები ზომაზე მეტი დალიეს და სწორედ იმ ჯერაც უცნობმა მაგიდებისა და სკამების მტვრევა დაიწყო. „ვესტ ჰემის“ მენეჯერ გლენ რიოდერის თქმით, დამნაშავეს აუცილებლად დასჯის.

**ესპანური „ვილიარეალის“ წარმომადგენელმა ხოსე მანუელ ლიანესამ გაამხილა, რომ ტრავმირებული მარტინ პალერმოს საუკეთესო შემცვლელად ჩილელი ივან სამორანო ესახება. „სერიოზულად ვფიქრობთ ამ ტრანსფერზე. სამორანოს კანდიდატურა ჩვენთვის საუკეთესოა“ — განაცხადა ლიანესამ, თუმც, მისივე თქმით, მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ დაწყებულა.**

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ წითელი ბარათი გაუუქმა „ფულემის“ პორტუგალიელ თავდამსხმელ ლუიშ ბოა მორტეს. ის მოედნიდან „ევერტონის“ კაპიტან დევიდ ვეირის წინააღმდეგ უხეშობისთვის გააძევეს. თუმც ვიდეოჩანაწერის განხილვისას ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა, რომ 24 წლის პორტუგალიელმა ვეირის წინააღმდეგ მხოლოდ ვარდნა განახორციელა და მისი გაძევება არბიტრის შეცდომა იყო.

**ფრანგული „მარსელის“ ნახევარმცველმა ჟერომ ლერუამ განაცხადა, რომ „ლანსთან“ მატჩი მისთვის უკანასკნელია ახლანდელი კლუბის შემადგენლობაში. ლერუამ მომავალი კლუბის ვინაობა არ გაამხილა, თუმც აღიარა, რომ „მარსელის“ ხელმძღვანელობამ მას სხვა შანსი არ დაუტოვა. „მინდოდა აქ დარჩენა, მაგრამ ხელმძღვანელობამ მაგრძნობინა, რომ არ ვჭირდები. მომავალ კლუბთან შეთანხმებას უკვე მივაღწიე“ — განაცხადა ლერუამ. შეგახსენებთ, რომ ის „მარსელში“ 1999-2000 წლების სეზონში პსჟ-დან გადავიდა.**

**გერმანიის** ნაკრები მომავალი წლის 17 აპრილს ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს არგენტინასთან. შეხვედრა შტუტგარტში გაიმართება. ამის გარდა გერმანელები ისრაელის, აშშ-ის, ავსტრიისა და ქუვეითის ეროვნულ ნაკრებებსაც გაეჯიბრებიან, თუმც ზუსტი თარიღები ჯერჯერობით უცნობია.

**იტალიური „ლაციოს“ იუგოსლაველი თავდამსხმელი დარკო კოვაჩევიჩი კლუბის პრეზიდენტ სერჯო კრანიოტისთან შეხვედრას აპირებს. მათი საუბრის მთავარი თემა ფეხბურთელის სატრანსფერო თანხის დაკლება იქნება, რაც იუგოსლაველს საშუალებას მისცემს, ესპანურ „სოსიედადში“ გადავიდეს. შეხვედრას კოვაჩევიჩის აგენტი მიგელ სანტოსიც დაესწრება. შეგახსენებთ, რომ იტალიური „ლაციო“ თავდამსხმელში 7,5 მილიონ დოლარს ითხოვს, რის გადახდასაც „სოსიედადი“ ვერ ახერხებს.**

**ჰოლანდიური** „ტელსტარის“ წევრი არვიდ სმიტი მომავალი სეზონიდან „პსვ ეინდჰოვენში“ ითამაშებს. 21 წლის სმიტმა „ტელსტარის“ შემადგენლობაში 65 მატჩი ჩაატარა და 8 გოლი გაიტანა. სმიტი პსვ-ს საკუთრებაა და „ტელსტარში“ განათხოვრებით თამაშობდა.

**ინგლისური „არსენალის“ მცველმა ეშლი კოულმა განაცხადა, რომ „ნიუკასლთან“ მატჩში სტუმარ კრეიგ ბელამის გაძევებაში არანაირი წვლილი არ მიუძღვის. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩის შემდეგ კოული სიმულაციასა და არბიტრის პროვოცირებაში დაადანაშაულეს. „მსაჯის პროვოცირება არასოდეს მიცდია სხვა ფეხბურთელის გაძევების მიზნით. რასაც მაბრალებენ, დიდი უსამართლობაა. არც იმის თქმა მინდა, რომ კრეიგი განზრახ მეუხეშა. ჩვენ სრულიად შემთხვევით შევეჯახეთ ერთმანეთს“ — თქვა ეშლი კოულმა.**

**იტალიური** „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ სერია A-ს კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელთა ხელფასების შემცირება მოითხოვა. „ჩვენ უნდა მოვახერხოთ ამის გაკეთება, რათა იტალიური ფეხბურთი გადავარჩინოთ“ — თქვა გალიანიმ. დღესდღეობით სერია A-ს კლუბთა საერთო ვალი 700 მილიონ ევროს შეადგენს. პირველი, ვინც გალიანის მხარი დაუჭირა, დედაქალაქური „რომაა“. მოქმედ ჩემპიონთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ფეხბურთელებს ხელფასები 30 პროცენტით შეუმციროს, ხოლო ფეხბურთელთა რაოდენობა კი 25-მდე დაიყვანოს.

**არგენტინული „სან ლორენსოს“ თავდამსხმელი ბერნარდო რომეო ახალ წლამდე გერმანულ „ჰამბურგთან“ გააფორმებს კონტრაქტს. „დარწმუნებული ვარ, მომავალ კვირაში არგენტინელთან ხელშეკრულებას გავაფორმებთ“ — განაცხადა „ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა ჰოლგერ ჰირონიმუსმა. მიღწეული შეთანხმების თანახმად, გერმანელები ახალ შენაძენში 5,5 მილიონ ევროს გადაიხდიან.**

**ინგლისური** „დეილ რეკორდის“ ცნობით, შოტლანდიური „რეინჯერსის“ ფანკლუბის გენერალურმა მდივანმა ჯონ მაკმილანმა საბოლოოდ დაარწმუნა ახალი მთავარი მწვრთნელი ალექს მაკლიში იმაში, რომ ბარი ფერგიუსონს ჩამოართვას კაპიტნის სამკლაური და იტალიელ მცველ ლორენცო ამორუზოს დაუბრუნოს. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ცნობა, რომ ბარი ფერგიუსონი ინგლისურ „ლიდსში“ აპირებდა გადასვლას, რის გამოც შოტლანდიელმა სექტანტებმა ის რასისტული გამონათქვამებით გალანძღეს. „რეინჯერსის“ პრეზიდენტი დევიდ მიურეი ფერგიუსონს 12 მილიონ სტერლინგს აფასებს.

# ევროთასებზე დაჯარიმებული კლუბები და ფეხბურთელები

## დაჯარიმებული კლუბები

### ჩემპიონთა ლიგა

**21.11.01 პანათინაიკოსი — პორტუ**

„პანათინაიკოსი“ დაჯარიმდა 23 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დაწყების დაგვიანებისა და გულშემატკივართა მოედანზე გადასვლის გამო.

„პორტუ“ დაჯარიმდა 8 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისათვის.

**05.12.01 ბარსელონა — გალათასარაი**

„ბარსელონა“ დაჯარიმდა 20 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მხრიდან მოედანზე მაშხალების სროლისათვის.

„გალათასარაი“ დაჯარიმდა 12 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისათვის.

**20.11.01 გალათასარაი — რომა**

„გალათასარაი“ დაჯარიმდა 18 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისთვის და გულშემატკივართა მხრიდან მოედანზე მაშხალების სროლისთვის.

**04.12.01 რეალი — პანათინაიკოსი**

„პანათინაიკოსი“ დაჯარიმდა 3 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მიერ ფეიერვერკების გამოყენებისათვის.

**05.12.01 რომა — ლივერპული**

„რომა“ დაჯარიმდა 3 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მიერ ფეიერვერკების გამოყენებისთვის.

### უეფას თასი

**22.11.01 კოპენჰაგენი — დორტმუნდი**

„კოპენჰაგენი“ დაჯარიმდა 6 000 შვეიცარიული ფრანკით: გუნდის არასპორტული საქციელისათვის და გულშემატკივართა მხრიდან მოედანზე მაშხალების სროლისათვის.

„დორტმუნდი“ დაჯარიმდა 10 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს მომხდარი ინციდენტისა და ფეხბურთელთა არასპორტული საქციელის გამო.

**06.12.01 სელტიკი — ვალენსია**

„ვალენსია“ დაჯარიმდა 10 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისათვის.

**06.12.01 პსჟ — რეინჯერსი**

პსჟ დაჯარიმდა 9 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს მომხდარი ინციდენტისა და ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისათვის.

**22.11.01 რეინჯერსი — პსჟ**

პსჟ დაჯარიმდა 8 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს მომხდარი ინციდენტისა და ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისათვის.

**22.11.01 აეკ — ლიტექსი**

აეკ დაჯარიმდა 8 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მხრიდან ფეიერვერკებისა და მაშხალების სროლისათვის.

„ლიტექსი“ დაჯარიმდა 9 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს მომხდარი ინციდენტისა და ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისთვის.

**04.12.01 ლოკომოტივი — ჰაპოელი**

„ჰაპოელი“ დაჯარიმდა 6 000 შვეიცარიული ფრანკით: მატჩის დროს ფეხბურთელთა არასპორტული საქციელისთვის.

**06.12.01 ბრონდბიუ — პარმა**

„ბრონდბიუ“ დაჯარიმდა 5 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მოედანზე გადასვლისათვის.

**20.11.01 ჰაპოელი — ლოკომოტივი**

„ჰაპოელი“ დაჯარიმდა 3 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მხრიდან ფეიერვერკებისა და მაშხალების სროლისათვის.

**22.11.01 ფიორენტინა — ლილი**

„ფიორენტინა“ დაჯარიმდა 3 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მხრიდან ფეიერვერკებისა და მაშხალების სროლისათვის.

**06.12.01 ლიტექსი — აეკ**

„ლიტექსი“ დაჯარიმდა 3 000 შვეიცარიული ფრანკით: გულშემატკივართა მხრიდან ფეიერვერკების გამოყენებისთვის.

## დაჯარიმებული ფეხბურთელები

### ჩემპიონთა ლიგა

**05.12.01 ბარსელონა — გალათასარაი**

ალბერტო კაპონე (გალათასარაი) დისკვალიფიცირებულია ორი მატჩით

### უეფას თასი

**20.11.01 ჰაპოელი — ლოკომოტივი**

იგორ ჩერევჩენკო (ლოკომოტივი) დისკვალიფიცირებულია სამი მატჩით

**22.11.01 კოპენჰაგენი — დორტმუნდი**

იან კოლერი (დორტმუნდი) დისკვალიფიცირებულია სამი მატჩით

# იტალია

პაპუნა კედია

# მიირთვით პანდორო და გაათბეთ მიწა

| XVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| კიევო | - | რომა |
| ლაციო | - | ბოლონია |
| ხვალ | | |
| ბრეშა | - | იუვენტუსი |
| მილანი | - | ვერონა |
| პარმა | - | ფიორენტინა |
| პერუჯა | - | ატალანტა |
| პიაჩენცა | - | ინტერი |
| ტორინო | - | ვენეცია |
| უდინეზე | - | ლეჩე |

| საქლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 15 | 9 | 4 | 2 | 28:14 | 31 |
| რომა | 15 | 8 | 6 | 1 | 21:9 | 30 |
| კიევო | 14 | 9 | 2 | 3 | 28:16 | 29 |
| იუვენტუსი | 15 | 6 | 7 | 2 | 23:13 | 25 |
| მილანი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:17 | 24 |
| ლაციო | 14 | 6 | 5 | 3 | 19:10 | 23 |
| ბოლონია | 15 | 7 | 2 | 6 | 11:13 | 23 |
| ვერონა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:22 | 22 |
| უდინეზე | 15 | 6 | 3 | 6 | 24:24 | 21 |
| ატალანტა | 15 | 6 | 3 | 6 | 21:25 | 21 |
| პიაჩენცა | 15 | 5 | 3 | 7 | 21:21 | 18 |
| ბრეშა | 15 | 4 | 6 | 5 | 19:24 | 18 |
| ტორინო | 15 | 4 | 5 | 6 | 17:20 | 17 |
| პერუჯა | 15 | 4 | 4 | 7 | 15:20 | 16 |
| ლეჩე | 15 | 3 | 5 | 7 | 17:24 | 14 |
| ფიორენტინა | 15 | 4 | 2 | 9 | 17:30 | 14 |
| პარმა | 15 | 2 | 5 | 8 | 15:24 | 11 |
| ვენეცია | 15 | 1 | 4 | 10 | 10:24 | 7 |



პატარა ვერონელებმა ფაბიო კაპელოს შენიშვნა იუკადრისეს

**დღეს** „კიევოს“ მორიგი სასწაულის შესაძლებლობა ეძლევა — რაღაც, ამ ბოლო დროს ყველა ანონსი და მიმოხილვა, ერთნაირად იწყება, არა? სულ „კიევოს“ ბრალია, ალბათ, დროა თავი დაგვანებოს და ჩავიდეს იქ, სადაც ელიან, ცხრილის შუაში. მოკლედ, ვერონაში, „მარკ ანტონიო ბენტეგოდის“ სტადიონზე „რომა“ თამაშობს.

„რომა“ იტალიის 2001 წლის ჩემპიონია და ცხადია, ამ წლის 31 დეკემბერსაც პირველ ადგილზე სურს ყოფნა. თუ ბედნიერი წელიწადია, ბედნიერი წელიწადი იყოს, მერე კი 2002-ზეც შეიძლება ფიქრი.

ისე კი ჩემპიონი ჩემპიონად და 2001 წლის ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც „კიევომ“ მოახდინა. მეტიც, ვერონის გარეუბნის, ქუჩის თუ რომელიღაც პიცერიის მიმდებარე ტერიტორიის ამ გუნდმა ნეიტრალურ გულშემატკივარს თავი უბრალოდ შეაყვარა.

დღეს ლიდერი „ინტერია“, „კიევო“ კი მას ორით, ხოლო „რომას“ ერთი ქულით ჩამორჩება, თუმცა თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული — ოთხშაბათს ვერონელთა და „ლაციოს“ ადრე გადადებული მატჩი კიდევ ერთხელ გადაიდო. ერთი სიტყვით, „კიევო“ პოტენციურ ლიდერად რჩება, ხოლო „რომას“ კეთილი უნდა ენება, იმავ ოთხშაბათს „ბრეშასთვის“ მოეგო და ახლა ცხრილში ჩახედვა უფრო ესიამოვნებოდა.

მაგრამ, თუკი ოთხშაბათს ვერონაში ისე ყინავდა, რომ „ლაციოსთან“ მატჩი გადაიდო (მოედანი გამოდგა უვარგისი), შაბათს რა, ყველაფერი რიგზე იქნება? ჩვენში დარჩეს და კაცმა არ იცის. მეტიც, იტალიელებმაც არ იციან მთლად ზუსტად და ამ საკითხს იქაური ტელევიზიის პირდაპირი ეთერით, „კიევოს“ პრეზიდენტის, 33 წლის ლუკა კამპედელის და „რომას“ მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს ურთიერთსიმკვახეც მიეძღვნა. ის კი არა, ჩვეულებრივ იუმორის გრძნობით დაჯილდოვებულმა კამპედელიმ კაპელოს ასეთი რამაც უთხრა: „მაპატიე კაპელო, მაგრამ ცდები. ჩვენ შენგან სასწავლი არაფერი გვაქვს“.

თავისთავად იმ ფაქტს, რომ კამპედელიმ „რომას“ თავკაცს მხოლოდ კაპელო უწოდა და არა სინიორ კაპელო, ბევრს არაფერს ნიშნავს. იტალიაში ასე მიმართვა მიღებულია (იმედი გვაქვს, როგორც ურთიერთობის პროგრესულ ფორმას, არ გადმოვიღებთ). აქ მთავარი თავხედობა გახლდათ ფრაზა „ჩვენ შენგან სასწავლი არაფერი გვაქვს“.

და რა ასწავლა კაპელომ ასეთი? როგორც ირკვევა მხოლოდ და მხოლოდ ურჩია, დალოცვილო, სერია A-ში რომ ხარ, გაზონქვეშ გათბობა გაიყვანეო.

გათბობისა რა მოგახსენოთ და ლუკა კამპედელი ამ შობას, ალბათ, გვარიან სარფს ნახავს. თურმე ნუ იტყვით და „კიევოს“ პრეზიდენტი ტკბილეულის ბიზნესშია, იტალიელთათვის ასე ტრადიციულ საშობაო „პანდოროსაც“ აცხობს და ხომ წარმოგიდგენიათ, ვერონელები მის „პანდოროს“ როგორ დაიტაცებენ.

მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: „კიევომ“ და „რომამ“ როგორც უნდა ითამაშონ, თუ ამ ტურში „ინტერი“ პიაჩენცაში გაიმარჯვებს, შობა-ახალ წელს პირველ ადგილზე იგი შეხვდება. ანკი, რატომაც არ უნდა შეხვდეს დღესასწაულს პირველ ადგილზე გუნდი, რომლის თავდასხმაშიც რონალდოსა და ვიერის წყვილი თამაშობს? სწორედ ამაზე თქვა კაპელომ: „ამ ორის პატრონი ძნელად ვინმემ რომ დაამარცხოს“.

„ჩვენი“ „მილანი“ კი კვლავ ვერ არის ისეთი, მოყვარეს რომ გაუხარდებოდა. იქნებ ამჯერად, „ვერონასთან“ მაინც ითამაშოს უკეთ. თუმცა, ჯობს თავგზა არ აგვებნეს. „მილანი“ მილანელებს დავუტოვოთ, ჩვენ კი კახა კალაძეს ვუსურვოთ ძირითადში დაბრუნება და კარგად თამაში. კალაძიანი „მილანის“ წარმატებები ხომ მართლა დიდ სიხარულს მოგვიტანს.

„იუვენტუსიც“ ველარ არის რაღაც მთლად უძლეველი. ვნახოთ, ბრეშაში რას იზამს. „ლაციო“ „ბოლონიას“ მასპინძლობს, დაბლა კი „პარმა“ „ფიორენტინას“ ხვდება — აი, ჭეშმარიტად ის გუნდები, რომელთაც ერთი კარგი, ჯანმრთელი გამარჯვება ყველაფრად უღირთ. „პარმა“, ბატონებო, ის გუნდია, ბოლო წლის განმავლობაში ხუთი მწვრთნელი რომ შეიცვალა და ბოლო ექვსი მატჩი წააგო, ხოლო „ფიორენტინა“ ფინანსურ კრიზისშია. ერთი სიტყვით, საშობაო საჩუქარს ყველა ელის.

**პაპუნა კედია**

# ინგლისი

დავით თავართქილაძე



„ლიდსის“ გატეხვას ალან შირერი თუ შეძლებსო

# ინგლისი საშობაოდ გაილექსა

## ალანმა თოფი, თოფმა ბიჭი? გრიპმა ჩეხი შეჭამა...

| XVIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ჩარლტონი | - | ბლექბერნი |
| დერბი | - | ასტონ ვილა |
| ლიდსი | - | ნიუკასლი |
| ლესტერი | - | ვესტ ჰემი |
| მანჩესტერი | - | საუთჰემპტონი |
| მიდლსბრო | - | ფულემი |
| სანდერლენდი | - | ევერტონი |
| ტოტენჰემი | - | იფსვიჩი |
| ხვალ | | |
| ჩელსი | - | ბოლტონი |
| ლივერპული | - | არსენალი |

| საქლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 17 | 10 | 3 | 4 | 30:20 | 33 |
| ლივერპული | 16 | 10 | 3 | 3 | 25:15 | 33 |
| ლიდსი | 17 | 8 | 8 | 1 | 23:13 | 32 |
| არსენალი | 17 | 8 | 6 | 3 | 35:21 | 30 |
| ჩელსი | 17 | 6 | 9 | 2 | 23:12 | 27 |
| მანჩესტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 37:27 | 27 |
| ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 29:23 | 27 |
| ასტონ ვილა | 17 | 7 | 6 | 4 | 23:19 | 27 |
| ევერტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:22 | 23 |
| ფულემი | 17 | 5 | 8 | 4 | 17:17 | 23 |
| ჩარლტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 21:20 | 22 |
| ბოლტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:21 | 21 |
| სანდერლენდი | 17 | 5 | 5 | 7 | 13:17 | 20 |
| ვესტ ჰემი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:29 | 20 |
| ბლექბერნი | 17 | 4 | 7 | 6 | 23:21 | 19 |
| მიდლსბრო | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | 19 |
| საუთჰემპტონი | 16 | 5 | 1 | 10 | 17:24 | 16 |
| ლესტერი | 17 | 3 | 5 | 9 | 11:31 | 14 |
| დერბი | 17 | 3 | 4 | 10 | 11:30 | 13 |
| იფსვიჩი | 17 | 1 | 6 | 10 | 15:27 | 9 |

**წინა ტურში** „მეთოფეთა“ დამყუბარებელი ბობი რობსონის „მეციხოვნეები“ კვლავ სტუმრად ითამაშებენ. მათი მასპინძელი დევიდ ოლირის „ლიდს იუნაიტედია“. „ნიუკასლს“, როგორც ლიდერ გუნდს, მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელშეუხებლობის გარანტიას. „ლიდსი“ კი ჯერაც თავისებური რეკორდსმენია — ერთადერთი გუნდი, რომელსაც პრემიერლიგის ამ გათამაშებაში შინ შეხვედრა არ წაუგია. ლიდსელებს დღეს მხოლოდ ორი ნიუკასლელი თუ გატეხავსო, ასე ამბობენ ალბიონზე. ეს ორი კი ფრანგი პლეიმეიკერი ლორან რობერი და დიადი ალან შირერია. შემტევი და გოლის გამტანი ხალხი „ლიდსაც“ ეყოლება — რობი ფაულერი და მარკ ვიდუკა აუცილებლად სასტარტოში იქნებიანო, ირწმუნება ინგლისური მედია.

თვალსასეირო ბრძოლა უნდა შედგეს „ენფილდზეც“. თამაშნაკლულ „ლივერპულს“ პოტენციურ ლიდერად მიიჩნევენ, მაგრამ მანამდე „არსენალი“ ჰყავს დასამარცხებელი. თანაც წინა ტურში ფილ ტომპსონის დამოძღვრილი მერსისაიდელები „ჩელსისთან“ სასტიკად შერცხვნენ (0:4) და ახლა ერთიორად მართებთ თავდადება. არისტოკრატთა წინააღმდეგ არ უთამაშია ოქროში ევროპულად ამოვლებულ მაიკლ ოუენს — მან წინა ტურში უბრალოდ დაისვენა, ხვალ კი არსენ ვენგერის ბიჭებს შეუტევს. „ლივერპულს“ არ ეყოლება ჩეხი გარემარბი ვლადიმერ შმიცერი, რომელსაც გრიპი შეყრია. „არსენალში“ ცვლილებაა — დღეს მეთოფეთა კარს, ალბათ, გუნდის მეორე მეკარე, რიჩარდ რაიტი დაიცავს. მან კარგა ხანი მოანდომა დაშავებული მუხლის მოშუშებას. რაც შეეხება „არსენალის“ ტრავმირებულ მცველებს, ტონი ადამსი და დიქსონი ჯერაც ვერ არიან ჯანზე.

„ოლდ ტრეფორდზე“ „საუთჰემპტონის“ გვემას ელიან, აქაოდა, ჩავარდნის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ზედიზედ მესამედ უნდა მოიგოსო. ყურადღების ცენტრში დევიდ ბექჰემი იქნება, რომელიც ბოლო მატჩებში ვერ ბრწყინავს და თუ დღესაც ვერაფრით გამოიჩინა თავი... ბოლო ორ ტურში გაიმარჯვა „საუთჰემპტონმა“, რომელსაც ერთი კარგი ამბავიც ახარებს — მეტლე ტისეე გამოჯანმრთელდა, რეზერვისტთა ლიგის ბოლო ტურში გოლიც შეაგდო და, ალბათ, დღეს პირველ გუნდშიც ითამაშებს.

„დერბი ქაუნთის“ კი არ უნდა გაუხარდეს, რომ „ასტონ ვილას“ მაროკოელი შუახაზელი ჰასან კაჩლული გამოჯანმრთელდა — მას თავის ტრავმა ჰქონდა და კოპდამცხრალი ეწვევა „ცხვრებს“. შესაძლოა, გიორგი ქინქლაძე მოხვდეს სამატჩო განაცხადში. ყოველ შემთხვევაში, კოლინ ტოდის ამასწინდელი განცხადება, იძულებული ვარ არცთუ საუკეთესო ფორმაში მყოფი ქართველი მაინც ვათამაშოთო, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს.

„ჩელსის“ ბანაკში ახალი არაფერია. მისი დღევანდელი მეტოქე „ბოლტონი“ კი იმას გაუხალისებია, რომ გუნდის საუკეთესო თავდამსხმელ მაიკლ რიკეტსთან კონტრაქტი გაახანგრძლივა.

ბოლოადგილოსანი „იფსვიჩი“ ელიტისთვის მებრძოლ „ტოტენჰემს“ ესტუმრება. ერთი შეხედვით, მატჩი საინტერესოს არაფერს გვპირდება, „სფურზი“ იშტაზეა, ბოლო ორ მატჩში ათი გოლი გაიტანა და ერთიც არ გაუშვია, თუმცა ვნახოთ, იქნება „იფსვიჩმაც“ გაისროლოს.

ცხრილის შუაგულში ჩამჯდარ გუნდებზეც ვთქვათ. „სანდერლენდს“ შესაძლოა ტრავმირებული ლათინოამერიკელები, ბრაზილიელი მცველი ემერსონ ტოუმი და არგენტინელი შუახაზელი ხული არკე დაუბრუნდეს. „ევერტონს“ კი ამ მხრივ, ისევ პრობლემები აქვს. კევინ კემპბელი კვლავ შეუძლოდაა, ოდნავ მომჯობინდა მეორე შემტევი დანკან ფერგიუსონი, რომელიც ტერფის ოპერაციის შემდეგ მალე განაახლებს ვარჯიშს.

# ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# სამეფო კართან საპატიო ყარაულია

**XVIII ტური**

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| სოსიედადი | - | ვალიადოლიდი |
| ტენერიფე | - | ლას პალმასი |
| ვალენსია | - | მალაგა |
| დეპორტივო | - | ბეტისი |
| სევილია | - | სელტა |
| ესპანიოლი | - | ბარსელონა |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| სარაგოსა | - | ვილიარეალი |
| რაიო ვალეკანო | - | ალავესი |
| მალიორკა | - | რეალი |
| ოსასუნა | - | ბილბაო |

**საძლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 17 | 9 | 4 | 4 | 32:20 | 31 |
| ბეტისი | 17 | 9 | 4 | 4 | 19:13 | 31 |
| ალავესი | 17 | 9 | 3 | 5 | 19:10 | 30 |
| დეპორტივო | 17 | 9 | 3 | 5 | 30:22 | 30 |
| სელტა | 17 | 7 | 7 | 3 | 33:20 | 28 |
| ბილბაო | 17 | 7 | 7 | 3 | 25:23 | 28 |
| ბარსელონა | 17 | 7 | 6 | 4 | 25:15 | 27 |
| ვალენსია | 17 | 6 | 9 | 2 | 18:14 | 27 |
| სევილია | 17 | 6 | 6 | 5 | 27:21 | 24 |
| ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 17:17 | 22 |
| ვალიადოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 18:26 | 22 |
| მალაგა | 17 | 5 | 6 | 6 | 19:22 | 21 |
| ესპანიოლი | 17 | 6 | 3 | 8 | 22:29 | 21 |
| ლას პალმასი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:15 | 20 |
| სარაგოსა | 17 | 6 | 2 | 9 | 15:23 | 20 |
| მალიორკა | 17 | 5 | 4 | 8 | 17:23 | 19 |
| ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 15:23 | 19 |
| ტენერიფე | 17 | 5 | 3 | 9 | 11:19 | 18 |
| სოსიედადი | 17 | 4 | 3 | 10 | 17:27 | 15 |
| რაიო | 17 | 3 | 3 | 11 | 16:30 | 12 |

მადრიდის „რეალი" უმეკარეოდ დარჩა. არა, „მალიორკასთან" შეხვედრაში მეკარე როგორ არ ეყოლება, მაგრამ ის არც იკერ კასილიასი იქნება და არც სესარ სანჩესი. კასილიასი სამეფო თასის მატჩის მე-80 წუთზე გააძევეს და დისკვალიფიკაცია პრიმერადივიზიონის მატჩზე გადაჰყვა. ხოლო სესარი, სულ მცირე, იანვრის ბოლომდე ტრავმას ვერ მოიშუშებს. ამგვარად, ხვალ დებიუტი ექნება კარლოს სანჩესს, რომელიც „რეალმა" ამ სეზონის წინ შეიძინა და ოდენ სამეფო თასზე ათწუთიანი თამაშის გამოცდილება აქვს. „არ მეშინია, ვგრძნობ, რომ სათამაშოდ მზად ვარ და გუნდს არ დავაღალატებ" — თქვა 23 წლის კარის დარაჯმა.

„რეალის" მეტოქე კი, როგორც აღვნიშნეთ, „მალიორკაა", გუნდი, რომელმაც წინა სეზონში ორივე შეხვედრა მოუგო „სამეფო კლუბს". მაგრამ შევნიშნოთ, რომ კუნძულელები წინა სეზონისგან განსხვავებით ახლა ძალიან ცუდ ფორმაში არიან, აგერ, ოთხშაბათს, სათასო მატჩიც წააგეს მეორე დივიზიონელ „კორდობასთან" და დედაქალაქელებს მშვენიერი შანსი აქვთ, მათი ძლევით არდადეგებზე ლიდერად წავიდნენ.

„რეალ ბეტისმა" წინა ხუთი სალიგო შეხვედრიდან ოთხში იმარჯვა, მაგრამ ამჯერად „დეპორტივოს" ხვდება, თანაც ლა კორუნიაში. გალისიელები კი თავის მხრივ ბოლო ხანს შელახული ავტორიტეტის აღდგენას ლამობენ.

ბარსელონაში დერბია — „ესპანიოლი" „ბარსელონას" მასპინძლობს. საზოგადოდ, მათ შორის უკეთესი გუნდი რომელიც არის, აღნიშვნა არ სჭირდება, მაგრამ დერბი დერბია, თან „ბარსას" დისკვალიფიცირებული ხავი და ტრავმამოუშუშებელი რივალდო არ ეყოლება. ხავის პოზიციაზე სავარაუდოდ ფილიპ კოკუ ითამაშებს, თავდასხმას კი ხავიერ სავიოლა გაუძღვება.

„რეალ სოსიედადში", მოგეხსენებათ, მატებაა — კლუბმა „ლივერპულიდან" მეკარე სანდერ ვესტერველდი გადაიბირა, რომელიც პრიმერადივიზიონური დებიუტისთვის ემზადება. ეგებ ჰოლანდიელმა მაინც დააძლევინოს ჯონ ტოშაკის გუნდს საშინელი ჩავარდნა, მით უმეტეს, რომ ბასკთა დღევანდელი მოწინააღმდეგე „ვალიადოლიდს" დისკვალიფიცირებული მცველი მანუელ ტენა დააკლდება, მას უკვე ხუთი ყვითელი ბარათი დაჰგროვებია.

„ვალენსიამ" წინა ტურში, როგორც იქნა, პირველი საგარეო გამარჯვება მოიპოვა ამ სეზონში, მშობლიურ „მესტალიაზე" კი კვლავაც დაუმარცხებლად რჩება. ამჯერად ვალენსიელები დისკვალიფიცირებული მიურისიო პელეგრინოს გარეშე დაუხვდებიან „მალაგას".

ბასკები ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას — „ოსასუნა" „ბალბიოს" წინააღმდეგ. ბილბაოელებმა ბოლო ცხრა მატჩში წაგება რაა, არ იციან და შუა კვირაში სამეფო თასის მეოთხედფინალშიც გააღწიეს. პამპლონელებმა კი სამი წაგებული მატჩის შემდეგ ბოლო ორ ტურში ოთხი ქულა მიითვალეს, მაგრამ ხვალ უმძიმესი გამოცდა ელით.

„სელტაში" მატებაა, ეკვადორელი ივან კავიდესი, რომელიც ერთხანს გუნდიდან ამოვარდნილი იყო, ხელახლა ჩაწერეს შემადგენლობაში. ვიგოელები „სევილიას" ესტუმრებიან, გუნდს, რომელმაც წინა ტურში „ალავესის" დამარცხება შეძლო.

„სევილიასგან" დაჩაგრული ვიტორიელები მადრიდში ხვდებიან ბოლოადგილოსან „რაიო ვალეკანოს". აღვნიშნოთ, რომ ბასკებმა წინა სეზონში ორივე თამაში პატარა დედაქალაქებს.

ერთი დერბიც ვახსენოთ — კანარის კუნძულები, „ტენერიფე" და „ლას პალმასი" თამაშობენ 2001 წლის ბოლო ტურის ბოლო მატჩს. შეხვედრას დაძაბულობას ისიც მატებს, რომ თუ მოიგეს, მასპინძლები მეტოქეს გადაასწრებენ, ჯერჯერობით კი ოთხი საფეხურით ჩამორჩებიან და გასავარდნთა ზონაშიც არიან.

სარაგოსაში უიღბლოთა ჯახია. მასპინძლებმა ბოლო სამი თამაში წააგეს, „ვილიარეალი" ამდენივე შეხვედრაში ოდენ ქულას გამორჩა. სტუმრებს დისკვალიფიცირებული მცველი ხავი რონხაც არ ეყოლებათ.



სანდერ ვესტერველდე

# განაბის სიტყვა: მე ვერ დამჩხვლეტენ!
## ბატარეა, ლოთარი და ბილიკი

*· ბუნდესლიგა შვებულებაში გავიდა, ცხადია, ისვენებს მიუნხენის „ბაიერნიც". ბავარიულმა ბობოლამ ბოლო ექვს ბუნდესლიგურ მატჩში ერთხელაც ვერ გაიმარჯვა და არდადეგებს ისე შეუდგა, ქვეყანას პირი დაალებინა, აქაოდა, ოტმარ ჰიცფელდის მანქანას ქანჩები მოეშვა და კარგადაც ველარ იპოხებაო.*

*· შეუტიეს შტეფან ეფენბერგსაც, მასზე აუგი ლოთარ მათეუსსაც დასცდა, თუმც „ეფე" ხომ უპასუხოდ არაფერს ტოვებს. მიუნხენის „ბაიერნის" განაბი კაცი გერმანულ სააგენტო Pb -ის ინტერვიუზე დათანხმდა, რომელსაც ფრაგმენტის სახით გთავაზობთ.*



შტეფან ეფენბერგი

**— „ბაიერნი" შესვენებაზე მეხუთე ადგილით გავიდა. თქვენი გუნდი ახალი წლისთვის მდევრად მოიაზრება თუ ჩემპიონობისთვის ჩამოსაწერად?**

— ტიტულის მოპოვება ძნელი გზა არის. ჩვენ კრიტიკულ ფაზაში შევდივართ. მიუნხენის „ბაიერნს" ასეთ სიტუაციაში ყოფნის გამოცდილება არა გვაქვს. მაგრამ ჩვენი ვალია ყველა სეზონში ტიტულისთვის ვიბრძოლოთ. ბოლო წლებში ხელმოცარულები როდი ვყოფილვართ. შეგვწევს ძალა, რომ რწმენა არასდროს დავკარგოთ. ასე იყო წინა სეზონში, როცა ჩემპიონობისთვის „შალკე" გვეპაექრებოდა; ასე იყო შარშანწინდელ სეზონშიც „ლევერკუზენთან" მეტოქეობისას. ორივე შემთხვევაში ჩემპიონები ჩვენ გავხდით. ისე, დღესაც ჩემპიონები ვართ.

**— რამდენად მნიშვნელოვანია „ბაიერნისთვის" საშუახეზონო შესვენება.**

— თუ თქვენ „ბაიერნის" ბოლო ხუთ მატჩს გულისხმობთ, ზამთრის არდადეგებმა დროულად მოგვისწრო — ეს საშუალებას გვაძლევს ჩვენი ბატარეები კვლავ დავტენოთ. მაგრამ ქუჩის მზიან მხარეზე ცხოვრებას ყოველთვის ვერ შეძლებ. ჩვენ ამას სამი წლის განმავლობაში ვახერხებდით.

**— ტრავმის შემდეგ თქვენი გუნდში დაბრუნება წარმატებული არ გამოდგა — ოთხი მოუგებელი ბუნდესლიგური მატჩი. ლოთარ მათეუსმა ისიც კი თქვა, რომ „ბაიერნმა" თქვენ სასწრაფოდ უნდა გაგასხვისოთ. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ცნობილი ამბავია, რომ ხალხს უყვარს საკუთარი აზრის წარმოჩენა ასეთ დროს. საამისოდ მე კარგი სამიზნე ვარ. ისიც კარგადაა ცნობილი, რომ ლოთარი უცნაურ კომენტარებს აკეთებს. ვფიქრობ, მას საკუთარი პრობლემებიც საკმარისად აქვს. მათეუსის გაწვრთნილ ვენის „რაპიდს" კარგი პირი არ უჩანს და მან ამაზე უნდა იფიქროს. ჩვენ საქმეს ჩვენვე მოვუვლით. მეორე ტაიმი ჯერ კიდევ სათამაშო გვაქვს, რათა რაღაცრაღაცეები მოვაგვაროთ და ეს ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია.

**— იმ ფაქტზე რას იტყვით, რომ თქვენ, ვისაც ტრავმის გამო ბევრი გაგიცდათ, უფრო მეტს გაკრიტიკებენ, ვიდრე იმ ფეხბურთელებს, რომლებიც აგრეთვე ტრავმების შემდეგ დაუბრუნდნენ გუნდს?**

— ყველაფერი ისეთნაირად მოჩანს, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს მასმედიისგან უფრო მეტი სივრცე და დრო აქვს ბოძებული და მედიისგან უფრო ნაკლებადაც იჩხვლიტებიან, ვიდრე მე. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ეს მე სულაც არ მაბრაზებს. აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში ჩვენ დიდებულ ფეხბურთს ვთამაშობდით, მაგრამ ეს მაშინ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა და ამავე დროს ბევრსაც გვაქებდნენ. იმ ფაქტმა, რომ მე მაშინ არ ვთამაშობდი, ისეთი კომენტარები წარმოშვა, რომ უკეთესი იქნება თუ მე „ბაიერნში" არ ვითამაშებ. მაგრამ ხალხმა, რომელმაც ეს თქვა, კაცობისა არაფერი სცხია — მე ამას სერიოზულად ვამბობ.

**— მოგეჩვენიათ, რომ ახალი წელი თქვენთვის ახალ სტარტს ნიშნავს?**

— დიახ, ეს აშკარაა, ჩემთვის ყველაფერი ახალი წლიდან დაიწყება. ვისურვებდი, რომ რამდენიმე მატჩი უკვე მოგებული გვქონდეს. უცნაური გრძნობა გეუფლება, როცა ტრავმის შემდეგ ბრუნდები და მხოლოდ ერთხელ ახერხებ გამარჯვებას. მე ყველაზე კარგად ვიცი ჩემი შესაძლებლობები. მთავარი კი ის არის, რომ არ დამაბუნდე და საკუთარ ბილიკს გაუყვე. ეს ჩემს კარიერაში უკვე გავაკეთე. ახლა კი მოდით, დავიცადოთ და ვნახოთ, თუ რა მელის ამ გზის ბოლოს.

# რეალის მსოფლიოს წილი

## ფიგუ ეუსებიოს დაეტოლა, რაული ფიგუს



ნლეულს ფიფამ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში ორი რეალელი — ლუიშ ფიგუ და რაული დაასახელა. დაჯილდოვების შემდეგ ესპანურმა გაზეთმა *AS*-მა ორივეს ინტერვიუ ჩამოართვა.

### ლუიშ ფიგუ

**— შარშან მეორე იყავით. წლეულს კი ფიფას მთავარი ჯილდო თქვენ გერგოთ.**

— ეს უდიდესი პატივია. ძალიან ბევრი კარგი ფეხბურთელია ამ პრიზის ღირსი, მაგრამ ყველას როდი აკუთვნებენ. მე ეს მოვახერხე, ამიტომაც უაღრესად ბედნიერი ვარ.

**— „რეალი“ მსოფლიოში თავის ჰეგემონიას ამტკიცებს. თქვენ პირველ ადგილზე გახვედით, რაული — მესამეზე. ამაზე რას იტყოდით?**

— კარგი იქნებოდა რაულიც პირველი ფეხბურთელი გამხდარიყო, ის ამ წოდებას ნამდვილად იმსახურებს. მე ხომ ეს გამარჯვება სწორედ რაულისა და საერთოდ, კლუბსა და ნაკრებში ჩემი პარტნიორების წყალობით მოვიპოვე.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენმა „რეალში“ გადასვლამ თუ ითამაშა როლი ამ წარმატებაში?**

— რასაკვირველია. მე ახლა მსოფლიოს საუკეთესო გუნდში ვთამაშობ. ბრწყინვალე ფეხბურთელების გვერდით თავისდაუნებურად გააუმჯობესებ თამაშს. სწორედ მათ უნდა ვუმადლოდე ამ ჯილდოს მოგებას.

**— შარშან მეორე ფეხბურთელი გახდით, თუმცა „ოქროს ბურთი“ მოიგეთ. წლეულს კი მსოფლიოში საუკეთესოდ დაგასახელეს, ხოლო ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში მხოლოდ მეექვსე ადგილზე გახვედით. ამას როგორ ახსნით?**

— ყველაფრის მოგება შეუძლებელია. მით უმეტეს, როცა საქმე ხმების მიცემას ეხება. წლევანდელი შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, სამომავლოდ „ოქროს ბურთის“ მოპოვების კიდევ არაერთი საშუალება მომეცემა.

**— პორტუგალია ზეიმობს. იმასაც კი ამბობენ, რომ თქვენ თვით ეუსებიოსაც სჯობიხართ.**

— ეუსებიომ პორტუგალიური ფეხბურთის მთელი ეპოქა შექმნა. თავისთავად ჩემთვის მასთან შედარებაც კი დიდი პატივია. თუმცა, ვფიქრობ, ჩვენ ორს შორის საუკეთესოს ამორჩევა მაინც შეუძლებელია, ჩვენ ხომ სულ სხვადასხვა დროს მივეკუთვნებით.

**— როდესაც საფეხბურთო კარიერას იწყებდით, ფიქრობდით, რომ ამდენს მიაღწევდით?**

— მართალი გითხრათ, ჩემი საფეხბურთო მომავლის შესახებ განსაკუთრებული გეგმები არასოდეს დამისახავს. მსოფლიოს პირველი ფეხბურთელის წოდებაზე, ცხადია, არც კი ვოცნებობდი, რადგან ყოველთვის ვიცოდი, თუ რა ძნელია ასეთ სიმაღლემდე მიღწევა. მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ თუ „რეალში“ თამაშობ, უკვე ყველაფერზე ოცნების უფლებას აძლევ საკუთარ თავს.

**— ალბათ, ეს წელი სამუდამოდ დაგამახსოვრდებათ...**

— მართლაც უბედნიერესი კაცი ვარ. წლეულს „რეალთან“ ერთად ესპანეთის ჩემპიონი გავხდი, ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე მოვხვდი, ახლა კი ეს პრიზიც. მართლაც გამორჩეული წელი იყო.

**— მეორეადგილოსან ბექემზე რას იტყვით?**

— ის დიდი ფეხბურთელია. როდესაც დაჯილდოებაზე მოვფრინავდით, მე და რაული ფლორენტინო პერესს ვეუბნებოდით, „რეალი“ ყოველ წელს ტრადიციულად ერთ ვარსკვლავს მაინც ყიდულობს, ახლა იქნებ ბექემის ჯერი დადგაო. ძალიან საინტერესო იქნებოდა მასთან ერთად თამაში.

### რაული

**— თქვენი თანაკლუბელი ლუიშ ფიგუ წლეულს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. რას იტყოდით ამის შესახებ?**

— მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ფიგუმ ეს დაიმსახურა. ის უდიდესი ფეხბურთელია და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ გაიმარჯვებდა.

**— სხვათა შორის, თქვენ ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ განაცხადეთ, რომ ყველაფერს გააკეთებდით მსოფლიოს პირველი ფეხბურთელის სახელის მოსაპოვებლად...**

— ვთქვი და მართლაც, ძალიან ახლოს ვიყავი პირველ ადგილთან. ყოველ შემთხვევაში, როდესაც ეს ვთქვი, იმასაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერ ამას მივაღწევდი. ჩემი პროგრესი აშკარაა, თანაც შეჩერებას არ ვაპირებ, ყველაფერს გავაკეთებ მიზნის მისაღწევად. მაგრამ უპირველეს ყოვლისა, მინდა, ისევე როგორც ადრე, ფეხბურთის თამაშით ვისიამოვნო. ეს უმთავრესია.

**— რა იგრძენით, როცა ბლატერმა პრიზი ფიგუს გადასცა?**

— ბედნიერი ვიყავი. თუნდაც იმიტომ, რომ დარბაზში დიდი ფეხბურთელების — ფიგუსა და ბექემის გვერდით ვიდექი, ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

**პორტუგალია** ზეიმობს, პორტუგალია ბედნიერია, პორტუგალია ეიფორიაშია. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ყოველ პორტუგალიელს, ქვეყნის პრემიერ მინისტრიდან რიგით მოქალაქემდე, ლუიშ ფიგუ აკერია პირზე. 29 წლის ლუიშ ფელიპე მადეირა კაიერუ ფიგუ, პორტუგალიელთა კერპი, ქვეყნის ისტორიაში შევიდა. მათთვის ფიგუ მთელი ეპოქაა. „ფიგუმ იგივე გააკეთა პორტუგალიური ფეხბურთისთვის, რაც პელემ ბრაზილიურისთვის“ — უკვე ასეთი შეფასებებიც გაისმის. მთავრობის მეთაურმა ანტონიუ გუტერიშმა დაჯილდოების ცერემონიალის დასრულებისთანავე მისალოცი წერილი აფრინა პორტუგალიის საამაყო შვილთან. პრემიერ მინისტრის თქმით, ფიგუ არა მარტო დიდი ოსტატია, არამედ შესანიშნავი ადამიანი და მოქალაქეც.

— საშობაოდ ამაზე უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებდი — ეს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის, ანტონიო ოლივეირას სიტყვებია. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ჟილბერტო მადაილას თქმით კი, ფიგუ ჯერ კიდევ შარშან იმსახურებდა ამ ჯილდოს, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო.

„ბელენენსეშის“ ბრაზილიელმა მწვრთნელმა პრინიო პერესმა კი ყველას შეახსენა, რომ სწორედ მან აღმოაჩინა მომავალი სუპერვარსკვლავი. ფერნანდო კოუტუ, ფიგუს ნაკრების მეგობარი: „ის მოვლენაა პორტუგალიურ ფეხბურთში. ჩვენ, მისი მეგობრები, უზომოდ ბედნიერები ვართ“.

**სერგი ქორიძე**




რეალი 2:1 დანარჩენი მსოფლიო

# საუკეთესო ესპანეთმა საუკეთესო ოუენი ვერ იგუა



ხოსე ანტონიო კამაჩო

**„ფრანს ფუტბოლმა“** 2001 წლის ევროპის საუკეთესო ნაკრებად ესპანეთი დაასახელა. პირინეის ნახევარკუნძულელები ბებერმა კონტინენტმა უკვე მეხუთედ დააფასა. პირველად ესპანელები საუკეთესონი უნგრეთთან ერთად გახდნენ 1964 წელს. დანარჩენ ოთხში კი, წლევანდელის ჩათვლით, მოზიარის გარეშე ეუფლებოდნენ ევროპის საუკეთესო გუნდის ტიტულს.

წლეულს ხოსე ანტონიო კამაჩოს შეგირდებმა გამოკითხვაში უკან მოიტოვეს შვედეთი, ინგლისი, იტალია და საფრანგეთი.

კამაჩოს ნაკრებმა მართლაც რომ აღმაფრენით ჩაატარა შეხვედრები, ცხრიდან შვიდი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთ მატჩში დამარცხდა (0:3) გერმანელების დამაქცევარ ინგლისთან სტუმრად და ისიც ამხანაგურ თამაშში. ამასთანავე ისინი ერთ-ერთი პირველნი იყვნენ ევროპიდან, ვინც ვადამდე მოიპოვა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური.

აქვე შეიძლება დაისვას კითხვა: იქნებიან კი ესპანელები კორეა-იაპონიაშიც საუკეთესოები? როგორც ცნობილია, პირინეელები რაზანია, „შესარჩევი ტურნირის ჩემპიონების“ ტიტულს ატარებენ. აკი „ფრანს ფუტბოლმა“ ესპანელები 1995 და 1997 წლებშიც სწორედ შესარჩევი ტურნირის შედეგების მიხედვით დაასახელა საუკეთესოდ, მაგრამ გულშემატკივარს კარგად ახსოვს, თუ როგორ დასრულდა ესპანელთათვის ფინალური ეტაპები — ინგლისის ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში დამარცხდნენ, ხოლო საფრანგეთის მუნდიალზე სულაც ჯგუფში ჩარჩნენ.

აღვნიშნოთ, რომ ნახევარკუნძულელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო შედეგი 1950 წელს დაკავებული.

ესპანელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე სულ ცხრაჯერ უთამაშიათ, აქედან ბოლო ხუთზე ზედიზედ.

**ზურაბ რუხაძე**

**ესპანური** პრესა და ფანობა გამოკითხვებამდე მსოფლიოში საუკეთესოდ რაულ გონსალეს ბლანკოს სახავდა და დღესაც ამ აზრზეა. მავანნი ლუიშ ფიგუს პირველობას და რაულის მესამე ადგილს, ამ ორს შორის ასაკობრივ სხვაობას აბრალებს. პორტუგალიელი უკვე იმ ასაკშია, როცა ვარსკვლავთა ბრწყინვალება ნელ-ნელა გაფერმკრთალებას იწყებს, რაული კი ახლა შლის ფრთებს. ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ყველაფერი გასაგებია, მაგრამ „ფრანს ფუტბოლმა“ ხომ ოქროს ბურთი რაულზე უმცროს მაიკლ ოუენს არგუნა?

დასკვნა ამ ორი მაგალითიდან შეიძლება იყოს ერთი: დიდი ფეხბურთისთვის ასაკს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ძაღლის თავი, სხვაგან უნდა იყოს დამარხული და მის მისაგნებად ჩვენ რომ არ ვიმტვრიოთ თავი, უბრალოდ რაულისა და ფიგუს მეგობრებს მოვუსმინოთ.

რობერტო კარლოსი: „რაული ოუენზე მეტად იმსახურებდა „ოქროს ბურთს“. რაულმა საკუთარ თავზე მუშაობა უნდა გააგრძელოს. ჩემი აზრით, შორს არ არის ის დრო, როცა იგი მსოფლიოში პირველი იქნება“.

სესარი („რეალის“ მეკარე): „მსურდა, რაული ღირსეულად დაეჯილდოვებინათ წინა სეზონში გაწეული ჯაფისთვის; თუმც ფიგუს ლომის წილიც დასაფასებელია და მსოფლიოში საუკეთესოს ტიტული მასაც შეჰფერის“.

ფერნანდო იერო: „ფიგუს წარმატება ძალიან მსიამოვნებს. თუმცა რაულის მესამე ადგილი მაოცებს. საკვირველია, რომ მისი ბრწყინვალე სეზონი, პრიმერადივიზიონისა და ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირობა ღირსეულად არ დაფასდა“.

ესპანეთის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო, მისი კოლეგები — რომაელი ფაბიო კაპელო და ვიგოელი ვიქტორ ფერნანდესიც ერთხმად აღნიშნავენ, რაული უსამართლოდ დარჩა „ოქროს ბურთის“ ანაც მსოფლიოში საუკეთესოს ტიტულის გარეშეო.



ალფრედო დი სტეფანო

რადგან მწვრთნელებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, რაულის და ფიგუს დამრიგებელი ვისენტე დელ ბოსკესაც მოვუსმინოთ: „რაულს გული არ უნდა დასწყდეს. მისი, როგორც ფეხბურთელის ზრდის უსწრაფესი ტემპი გვარწმუნებს, რომ ადრე თუ გვიან აუცილებლად გახდება პირველი“.

ბოლოს კი დიდ რეალელს, თავის დროზე ევროპის ორგზის საუკეთესოს, მრავალჯილდოიან და გამოცდილ ალფრედო დი სტეფანოსაც ვუგდოთ ყური: „რაული, ალბათ, თავისთვის ფიქრობს, ცუდი არაფერი მომხდარა, წლეულს თუ არა, მომავალში მსოფლიოს, ანაც ევროპის საუკეთესოობა ჩემი იქნებაო. შესაძლოა, ის მართალიც იყოს. რაულმა თუ ისევე ლაღად და ლაზათიანად იბურთავა, როგორც წლეულს, მას დიდი წარმატებები, ევროპის, თუგინდ მსოფლიოს საუკეთესოობაც გვერდს ვერ აუვლის“.

**გიორგი გამარდაშვილი**

# ლოკომოტივმა 60-70-ით იარა
## მაგრამ გაქცეულ დათვებს მაინც გაუსწრო



ნუკრი მარჯანიძის ფოტო

ფრანგმა მსაჯმა ხელები აღმართა და საბოლოოდ ჩასტვინა. „ლოკომოტივის" მორაგბეები სიხარულის მორევში გადაეშვნენ. „ლოკომოტივი" საქართველოს ჩემპიონია. თბილისელი რკინიგზელების წარმატების მთავარი შემოქმედი თემურ ბენდიაშვილი განმარტოებით დგას და მილოცვებს ილებს. მორაგბეები არც მას ივიწყებენ და მთავარ მწვრთნელს ჰაერში აბურთავებენ. ასეთი იყო საქართველოს ჩემპიონატის ფინალისშემდგომი ერთი ეპიზოდი. მაშინ „ლოკომოტივმა" ბათუმის „დათვები" დაამარცხა და ზედიზედ მეორედ იჩემპიონა. დღეს თემურ ბენდიაშვილი „სარბიელის" სტუმარია. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი განვლილ სეზონზე და ქართული რაგბის ავ-კარგზე გვესაუბრა.

— მეტი შეგვეძლო. გუნდს უფრო დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიხსენით. ბიჭებმა შესაძლებლობების მხოლოდ 60-70 პროცენტი გამოავლინეს. გვქონდა ჩავარდნებიც. სეზონი ცუდად დავიწყეთ, მერე ნელ-ნელა ფორმაში შევედით, მაგრამ საზაფხულო შესვენებამ ყველაფერი არია. დაახლოებით თვენახევარი არც გვივარჯიშია. მორაგბეები მიმოიფანტნენ და სანამ ისევ შევიკრიბეთ, სასურველი კონდიციები დავკარგეთ. ერთი თვე დაგვჭირდა, ჩვენი თამაში რომ გვეპოვნა და ფორმაში შევსულიყავით. იცით, სამოყვარულო კლუბი ვართ, ვარჯიშზე ზოგი რომელ საათზე მოდის და ზოგი რომელზე. მორაგბეები თავიანთი პროფესიით მუშაობენ, რაგბისთვის მხოლოდ თავისუფალ დროს იცლიან. მოედნებიც, სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარება რომ შეიძლება, მუდამ პრობლემაა. წლეულს გია ყარყარაშვილმა დაგვითმო ასკ-ს მოედანი, სადაც უსასყიდლოდ ვვარჯიშობდით და მეტოქეებს ვმასპინძლობდით. გაისად რა ვქნათ, არ ვიცი. ალბათ, ისევ გიას უნდა ვთხოვოთ. კარგი პიროვნებაა, იმედია, გაგვიგებს.

**— თქვენ ხომ „ლოკომოტივი" გქვიათ და რკინიგზის დეპარტამენტს ეკუთვნით. დეპარტამენტი არ გეხმარებათ?**

— შეძლებისდაგვარად. ფინალის წინ სამდღიანი შეკრება გაგვიხერხეს. დიღუბეში ვიყავით, ერთ-ერთ სასტუმროში. სრული შემადგენლობით მოვიყარეთ თავი. ასე ერთად მთელი სეზონი არ ვყოფილვართ. ძალიან წაგვადგა ის შეკრება. უამისოდ შეიძლება ფინალში დავმარცხებულიყავით. ამას წინათ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას შევხვდი. კონკრეტული არაფერი უთქვამთ, მოედნის და სხვა პრობლემების მოგვარებას ვერ შემპირდნენ. ასე მითხრეს, ერთად ვიყოთ და რასაც შევძლებთ, დაგეხმარებითო.

**— თქვენი აზრით, ჩემპიონატის დონე შარშანდელთან შედარებით დაქვეითდა თუ პირიქით?**

— იყო წინაპირობა, რომ შარშანდელზე უკეთესი ყოფილიყო, მაგრამ ზოგმა გარემოებამ ამ პირველობას ელფერი დაუკარგა. სეზონის წინ და საზაფხულო შესვენებისას 40-მდე მორაგბე საფრანგეთში წავიდა. ამან ჩემპიონატი გაალარიბა, თუმცა იყო დაძაბული მატჩები. ოთხეულში მრავლად იყო საინტერესო და უშეღავათო ბრძოლა. სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზეს „დათვებმა", ლევან მგელაძემ თავისი ხელი დაატყო ამ გუნდს. „დათვები" მოძველებულ რაგბის აღარ თამაშობენ. სადღა იყო გამუდმებით ფეხით თამაში და პრაგმატული ტაქტიკა. ბათუმელები სწორ გზაზე დგანან. „ყოჩებმაც" დაძლიეს თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი. ამირან თეზელაშვილი სადებიუტო სეზონს ატარებდა და თავის მოვალეობას კარგად გაართვა თავი. გარდა ამისა, იგი ჩინებული პიროვნებაა, რაც არაერთხელ დაამტკიცა. ნამდვილად არ ველოდი ქუთაისის „აიას" ასეთ პროგრესს. თუ „აიამ" შეძლო ამ შემადგენლობის შენარჩუნება, ძალიან შორს წავა.

**— ჩვენი რაგბის მოურჩენელ თავის ტკივილზე, მსაჯობაზე რას იტყვით?**

— მსაჯობა, საუბედუროდ, ისევ დაბალ დონეზე დგას. წინსვლა არ არის, არც ხარისხით და არც რაოდენობით, ფაქტობრივად, ერთი მსაჯი, ნოდარ რობიტაშვილი გვყავს. მართალია, უმატებს, მაგრამ სასურველ კონდიციამდე ძალიან ბევრი უკლია. ეს მთლად მისი ბრალიც არაა. სეზონში დაახლოებით 30 მატჩს მსაჯობს და, ეტყობა, ვერ უძლებს ასეთ დატვირთვას. მარტო ფიზიკურ დატვირთვაზე არ ვამბობ, არის ფსიქოლოგიური მომენტიც, მისთვის ყოველი თამაში პრინციპული და საპასუხისმგებლოა. ასეთ რეჟიმს ნორმალური ადამიანი ბოლომდე ვერ უძლებს. ალბათ, ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ რობიტაშვილი ზოგჯერ უხეშად ცდება.

**— არ არის მოედნები, არ გვყავს მსაჯები. ამდენი პრობლემაა... ხომ არ აჯობებს, ჩემპიონატი ორ წრედ ჩატარდეს და მერე პლეი ოფის სისტემით გაგრძელდეს? შინაური რაგბის დღევანდელი ყოფის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია სამ ეტაპიანი ჩემპიონატის ჩატარება?**

— ვფიქრობ, გამართლებულია. აბა, მთელი წელი იმისთვის ხომ არ ვწვალობთ, სეზონში სულ 12 მატჩი ვითამაშოთ. ჩემი აზრით, სულ ცოტა 25 შეხვედრა მაინც უნდა გამართო, რამეს რომ მიაღწიო. რაგბის კავშირმა ორწრიანი გათამაშება შემოგვთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარით. 16 გუნდი რომ იყოს, კი ბატონო, მშვენიერი იქნება, მაგრამ უმაღლეს ლიგაში 6 გუნდი თამაშობს. გამოდის, სეზონში 12 შეხვედრას გამართავ და წადი მერე შინ. ასე საქმე არ გამოვა. თუ კავშირს უნდა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს დაანახოს, აგერ, ჩემპიონატს ვატარებ და შენი წევრი ვარო, ეს სხვა ამბავია, მაგრამ ჩვენ სრულფასოვანი ჩემპიონატი გვინდა და არა დაჩეხილ-შემცრებული.

**— წლევანდელ ჩემპიონატში „დათვებთან" სამი მატჩი წააგეთ, მაგრამ ფინალი მოუგეთ. თქვენი აზრით, რის ხარჯზე დაამარცხეთ ბათუმელები?**

— ბათუმელებს არაფერს ვუკარგავ, მაგრამ არც ერთი შეხვედრა არ იყო წასაგები. გარკვეულ უპირატესობასაც ვფლობდით. ბოლო წუთებამდე ვიგებდით, მაგრამ სწორედ ბოლო წუთზე გაჰქონდათ ჯარიმები. ჩვენ სამ ლელოს გავიტანდით, ისინი რვა ჯარიმით გვპასუხობდნენ. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ხშირად წესების დარღვევით გვეთამაშებოდნენ, რასაც მსაჯი რატომღაც ვერ ამჩნევდა. ფინალში ფრანგი მსაჯი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება იქაც წაგვეგო. დაინახეს თუ არა ფრანგი არბიტრი, ტაქტიკური ჯარიმებისთვის აღარ მიუმართავთ. რაც მათ კლასზე მიგვითითებს. პირიქით, ჩვენ გვაიძულეს, ხშირად დავჯარიმებულიყავით. ტექნიკური ლელოც მივიღეთ შეტევის არასწორად ჩაშლისთვის. რომ არა სრულფასოვნად მომზადება, ფინალში „დათვები" გაიმარჯვებდნენ. სამდღიანმა შეკრებამ სულზე მოგვისწრო.

**— კახა ალანია, გიორგი ბუგიანიშვილი, ვასილ აბაშიძე და ნონო ანდღულაძე ეროვნული ნაკრების წევრები არიან. „ლოკომოტივიდან" კიდევ ვის შეუძლია ქვეყნის პირველ გუნდში თამაში?**

— გიორგი კახიანს. არ მინდა ვინმეს ვაწყენინო, მაგრამ იგი ნაკრების რამდენიმე მორაგბეს სჯობს. ადრე შესთავაზეს საფრანგეთში თამაში, მაგრამ იუარა, უზენაეს სასამართლოში მუშაობს, ოჯახი ჰყავს, ვერ შეელია ყოველივე ამას. კახიანის გარდა ბობა კვინიხიძეს და ზურა მოგელაძესაც შეუძლიათ ნაკრებში მოხვედრა. მოგელაძე ორი თვე მძიმედ იყო დაშავებული, ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე მომჯობინდა, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა. ჯანიანი, ვაჟკაცი ბიჭია.

**— ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საქართველოს თასის ფინალის ჩაშლამ. თასი უბრძოლველად „დათვებს" გადაეცა. რატომ შეეგუეთ კავშირის გადაწყვეტილებას?**

— რაგბის კავშირის გადაწყვეტილებას არ დავეთანხმე და გავაპროტესტე კიდეც. მართლები ვიყავით. თასის ფინალი ქუთაისში 4 ნოემბერს, კვირას უნდა გამართულიყო. სამი დღით ადრე გავიგეთ, რომ კავშირმა ეს მატჩი 5 ნოემბერს, ორშაბათს გადაიტანა, რადგან „ტორპედოს" სტადიონი კვირას დაკავებული იყო. ჩვენ უარი ვუთხარით, ვინაიდან ორშაბათს ნახევარი გუნდი არ გვეყოლებოდა. მორაგბეები ძალოვან უწყებებში მუშაობენ. ზოგი საბაჟოზე, ზოგიც მთავრობის წევრთა პირად დაცვაში. მაშინ თბილისში არეულობა იყო და ბიჭებმა სამსახურიდან გათავისუფლებაზე უარი მიიღეს. შესაბამისი წერილი კავშირში მივიტანე. თან ჩემპიონატის კალენდარიც მოვიშველიე, რომელშიც უკლებლივ ყველა მატჩი შაბათ-კვირას იყო დანიშნული. შუა კვირაში სამოყვარულო გუნდი ვერ ითამაშებს, მითუმეტეს, ეს თასის ფინალი იყო და არა რიგითი მატჩი. კავშირის მესვეურებს ვუთხარი, ან კვირას ვითამაშოთ, როგორც ადრე იყო დანიშნული, ან გადავდოთ-მეთქი. დამეთანხმნენ. დაუკავშირდნენ „დათვების" მთავარ მწვრთნელს, ლევან მგელაძეს და ამის შესახებ აცნობეს. მეც იქ ვიყავი. საღამოს დამირეკა საშეჯიბრო კომიტეტის დირექტორმა მიხეილ რობიტაშვილმა. მითხრა, მატჩი მაინც ორშაბათს დავნიშნეთო. თუმც იცოდნენ, რომ ჩვენ ვერ ჩავიდოდით. ქუთაისში მარტო „დათვები" ჩავიდნენ, არ ჩასულან არც მსაჯი და არც კომისარი. რის საფუძველზე შეადგინეს მატჩის ოქმი, არ ვიცი. ქუთაისში მხოლოდ სადისციპლინო კომიტეტის წევრები იმყოფებოდნენ. მერე გადაწყვიტეს, მატჩზე გამოუცხადებლობის გამო ჩვენთვის წაგება ჩაეთვალათ. არადა, ჩვენი თანხმობის გარეშე ფინალის გადატანის უფლება არ ჰქონდათ. თანახმა ვიყავით, 4 ნოემბერს გვეთამაშა, როგორც ადრე იყო დანიშნული და არა 5 ნოემბერს.. თუ „ტორპედოს" არ ეცალა, ეს ჩვენი ბრალი სულაც არ იყო. საპროტესტო წერილით მივმართე სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი მეძმარიაშვილს. მისი მოადგილე ლერი ხაბელოვი ესწრებოდა ამ საქმის განხილვას. მივიყვანე იურისტიც, კავშირის მხარეს გენერალური მდივანი მიხეილ ბურძგლა წარმოადგენდა. ხაბელოვმა პირდაპირ უთხრა ბურძგლას, რომ გადაწყვეტილება უსამართლო იყო და ფინალური მატჩი აუცილებლად უნდა გამართულიყო. თუმც „დათვები" არ დათანხმდნენ გადათამაშებას და კავშირმაც გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა თვითონ თასს, გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ „დათვებზე" ძლიერი ვართ, რაც დავამტკიცეთ კიდეც. თუ სიმართლეს არ ვამბობ, აგერ ვარ და შემომედავოს რაგბის კავშირი.

**ბაჩო სვანიძე**



# აბუსერიძეს გაწყვეტილი კუნთი გაიმთელა

**საქართველოს** ნაკრების წევრმა ირაკლი აბუსერიძემ ტრავმა მოიშუშა და სულ მალე მინდორსაც დაუბრუნდება. ბორჯღალოსანთა შერკინების ნახევარმცველი სამი თვის წინ დაშავდა, როცა საფრანგეთში იმყოფებოდა და სასურველ კლუბს ეძებდა. 22 წლის მორაგბეს მარცხენა ფეხზე კუნთი გაუწყდა, ამასთან საზარდულის ტკივილმაც შეაწუხა. ტრავმის გამო აბუსერიძემ ვერც საფრანგეთში მოიკიდა ფეხი და ვერც ნაკრებს დაეხმარა სამხრეთ აფრიკის და საფრანგეთის „ა" გუნდებთან. მკურნალობის თერაპიულმა კურსმა უშედეგოდ ჩაიარა. საოპერაციო ხარო, უთხრეს აბუსერიძეს, მასაც ბევრი არ უფიქრია და ოპერაცია რკინიგზის საავადმყოფოში გაიკეთა.

„გაწყვეტილ კუნთში თიაქარი გამომსვლია, საზარდულის ტკივილიც ამან გამოიწვია. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა. ექიმების მეთვალყურეობით სარეაბილიტაციო კურსს გავდივარ. ტკივილი არ მაწუხებს, აღარც სიარული მიჭირს. ნააახალწლევს ვარჯიშსაც შევუდგები. ახლა რაგბის კავშირის ხელმძღვანელობასთან ვაპირებ შეხვედრას. ეგებ საფრანგეთში შესაფერისი კლუბი გამომიძებნონ" — გვითხრა ირაკლი აბუსერიძემ, როდესაც ჯანმრთელობის თაობაზე დავეკითხეთ.

# მსოფლიოში საუკეთესოს ვინ შეელევა?!

**ლონდონის** „ჰარლიქვინზმა" ირლანდიელი სუპერვარსკვლავი კიტ ვუდი შეინარჩუნა და ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ახალი შეთანხმებით, IRB-ის ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მორაგბე ლონდონში 2003 წლამდე დარჩება.

„ეჭვი არავის ეპარება, რომ ვუდი პლანეტის უძლიერესი მორაგბეა. იგი კლუბის ერთგულია და მისი მნიშვნელოვანი ფიგურაა. კიტი სულით ლიდერი, გამორჩეულად ტექნიკური მორაგბეა. გვიხარია, რომ იგი ჩვენთან რჩება" — განაცხადა „ჰარლიქვინზის" აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ევანსმა.

28 წლის ჰუკერი, ვისაც ირლანდიის ნაკრებში სარეკორდო, 47 კეპი მოუხვეჭავს, „ჰარლიქვინზს" ხუთი წლის წინ, „გერიოუენიდან" შეუერთდა. მომდევნო სეზონში კიტ ვუდი ლონდონელი ფანების კერპი შეიქნა და კაპიტნის სამკლავურიც ირგუნა. ვუდის კაპიტნობა შარშანდლამდე გაგრძელდა, მერე „ჰარლიქვინზმა" ავსტრალიელი დევიდ უილსონი შეიძინა და გუნდის გაძღოლაც მას დაევალა.

ამ შემოდგომაზე ვუდმა „ქუინზის" რიგებში საიუბილეო, მე-100 მატჩი ითამაშა. მეტოქედ ფრანგული „კასტრი" ჰყავდა და იქ იყო ჩვენი ლევან ცაბაძეც. ეს 28 ოქტომბერს, ევროპის საკლუბო თასზე შეხვედრისას მოხდა. ვუდის კარიერას ბრიტანელ „ლომებში" ნათამაშევი ხუთი მატჩიც ამშვენებს.

**ბაჩო სვანიძე**

# ხვიჩა მულაომეროვიჩმა გორჩა გირიჩეკს აჯობა „მამლუქი“ ხორვატიულად



მაკაბი — შლიონსკი. პოლონელმა რობერტ სკიბნიევსკიმ (მარცხნივ) ფარქვეშ ნათანიელ ჰოფმანს აჯობა

**ევროლიგის** მორიგი ტურის ერთ-ერთ მატჩში „პანათინაიკოსი“ ცსკა-ს ხვდებოდა. ეს თამაში შარშან რომ გამართულიყო, მას უცილობლად ცენტრალურად მონათლავდნენ, წლეულს კი არმიელებს აღარ ჰყავთ აწ უკვე „იუტა ჯაზში“ მოთამაშე ანდრეი კირილენკო და უწინდელივით ვეღარ თამაშობენ. ეს, ცხადია, ათენელმა გულშემატკივრებმაც განჭვრიტეს და დარბაზი სანახევროდ შეავსეს. ამით კი ბევრი დაკარგეს. მატჩი მეტად დაძაბული და შთამბეჭდავი გამოდგა, მოსკოველებს ცოტაც რომ გამართლებოდათ, ევროპაში თავის გემოზე მოპარპაშე „მწვანეებს“ ანდერძს აუგებდნენ.

„პანათინაიკოსმა“ ჩვეულად დაიწყო. ნიკიტა მორგუნოვის ორქულიანს ლაზაროს პაპადოპულოსმა და მისმა გუნდელებმა 10 უპასუხო ქულა მიაგეს და პირველივე წუთებზე სოლიდურად დაწინაურდნენ. შემდეგ კი ეს მატჩი ორი კაცის დუელად იქცა. ერთი ტომისა და ნაკრების წევრებმა, დამირ მულაომეროვიჩმა და გორდან გირიჩეკმა ერთმანეთს ომი გამოუცხადეს. ეს ორი ხორვატი კალათბურთელი ერთურთს მტკაველსაც არ უთმობდა, რათა ერთი ბერძნებს, ხოლო მეორე რუსებს შესწეოდა. იცოდა რა ხიფათი გირიჩეკმა, თავისი 30 ქულის გროვება ცსკა-ს 10-ქულიანი ჩამორჩენიდან იწყო, დროის ერთი მონაკვეთი თავისიანებს 12:0 მოაგებინა და წინაც გაიყვანა. რის ვაჟკაცი ვიქნები, თუ ამ შუა საბერძნეთში ჩემმა თანამემამულემ დამჯაბნაო და, დამირ მულაომეროვიჩმა საქმეში არტილერია ჩართო — მოსკოვს ექვსმეტრიანები დაუშინა, ხუთი ცდიდან ერთიც არ ააცილა. იგი რუსთა ფარს სწრაფი გარღვევებითაც ჩხვლეტდა, მაგრამ არმიელები და ხორვატს ჯარიმების ფასად აჩერებდნენ. მულაომეროვიჩი კი საჯარიმოებსაც ისევე ზუსტად ისროდა, როგორც სამქულიანებს და ბერძენთა ლაშქარმა, ხორვატის მხედართმთავრობით, წითელარმიელებიან მატჩის მიწურულს 4-ქულიან უპირატესობას მიაღწია — 81:77.

გადამწყვეტ მომენტში, როცა რუსებს ყველაზე მეტად სჭირდებოდათ გირიჩეკის დახმარება, ხორვატი დეიან ბოდიროგაზე მეხუთედ დაჯარიმდა, მაგრამ მორგუნოვის შეუპოვრობამ ჩრდილოელებს, კერძოდ რაიმონდს მიგლინიეკსს, თამაშის გადარჩენის შანსი უბოძა. საფინალო სირენა მაშინ გაისმა, როცა ბალტიისპირელმა 83:80-ზე სასურველი მანძილიდან ესროლა, ბურთი კალათს კი მოხვდა, მაგრამ შიგ არ ჩაეშვა.

თურქულ „ეფესს“ ბედი გაუწყრა. ჯერ ერთი, სტამბოლელებს აღარც კი ახსოვთ, ზედიზედ სამჯერ როდის წააგეს და მეორეც — სამჯერვე ბოლო წუთზე, დრამატულ მატჩში დათმეს. ბოლო ტურში წარუმატებლობისთვის „ეფესს“ ვერავინ დასძრახავს, ისინი იტალიის ლიგისა და ევროლიგის A ჯგუფის ლიდერთაგანს, ტრევიზოს „ბენეტონს“ სტუმრობდნენ, მაგრამ მოგებაც თავისუფლად შეეძლოთ. სტამბოლელები მთელი თამაში ლიდერობდნენ, საულიუს შტომბერგასმა და მარკუს ბრაუნმა სისხლი გაუშრეს იტალიელთა დაცვას. პირველი ნახევრის ბოლოს „ეფესმა“ 9-ქულიან უპირატესობას მიაღწია. იტალიელები ამერიკელმა თაიუს იდნიმ გამოაფხიზლა. ფეხმარდი გამთამაშებელი სტუმართა დაცვაში იოლად პოულობდა ნაპრალებს, ხორხე გარბახოსამაც იძალა და თამაში გათანაბრდა. ბოლო წუთზე რიკარდო პიტისმა ტრევიზოელები 88:86 დააწინაურა. სირენამდე 30 წამი რჩებოდა, როდესაც ქერიმ თუნჩერიმ სამქულიანი გაისროლა, მას იდნის ხელი გადაეფარა, ბურთი ტანმაღალ კასპარას კამბალას მიუვიდა, რომელზეც მასპინძლები უმალ დაჯარიმდნენ. კამბალას გულით კი უნდოდა მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა, მაგრამ მხოლოდ სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა.

თვით დიად დრაჟენ პეტროვიჩსაც კი გაუჭირდებოდა იმის გაკეთება, რაც ლარი მიდლტონმა ოთხშაბათს ბელგრადში მისი სახელობის დარბაზში შეძლო. დიდი ვერაფერი თამაში გამოუვიდა, უბრალოდ, როცა მისი „სკავოლინი“ მატჩის დამთავრებამდე 12 წამით ადრე ადგილობრივ „ციბონასთან“ 71:68 აგებდა, მოწინააღმდეგის ფარში აულელვებლად ორი სამქულიანი ჩაუშვა და პეზაროელებს 74:71 გაამარჯვებინა. გასაკვირი კია 12 წამში მსგავსი რამის მოხერხება, მაგრამ მიდლტონს ამაში მასპინძელი მატეი მამიჩი დაეხმარა, როცა ამ ორ ფანტასტიკურ სროლებს შორის, სირენამდე 7 წამით ადრე, ბურთი პეზაროელ მელვინ ბუკერს ჩააბარა, მან კი ამ მატჩის გმირი მოძებნა.

უკვე მერამდენე ტურია, ჩვენებურების „ულქერი“ და „ოლიმპია“ B ჯგუფში ერთმანეთს შეამხანაგებიან. „ქართულმა“ კლუბებმა ჩვეულებას არც ამჯერად უღალატეს და გაიმარჯვეს. თურქულმა კლუბმა „აჰმედ შმერტის“ დარბაზში წინა ტურის გმირი, ბობოლა „კინდერის“ გამაპარტახებელი კაუნასის „ჟალგირისი“ მიიღო და მხოლოდ მატჩის შუაწელში გაუჭირდა. მცირეაზიელებმა ამერიკელების, ბად ელისა და კვადრე ლოლისის წყალობით პირველი და მეოთხე ათწუთეული ბალტიისპირელებს იოლად მოუგეს, შედეგად გაიმარჯვეს კიდეც — 79:66. „ოლიმპიამ“ კი ლიუბლიანაში წინა ტურში „ულქერისგან“ ნაგვემ „ლონდონ თაუერზს“ უმასპინძლა და უარესი დღე აყარა. სლოვენიელები იოლად რომ მოიგებდნენ, არავის ეპარებოდა ეჭვი. საკითხავი ანგარიშში სხვაობა იყო, რომელიც მართლაც საინტერესო გამოდგა. ბრიტანელებმა 40 წუთის განმავლობაში ამდენივე ქულის მოხვეჭა მოახერხეს, რაც წლევანდელ ევროლიგაში არ მომხდარა. ქართველებს არც ერთ მატჩში არ უთამაშიათ. ორივეს მსუბუქი ტრავმა აწუხებდა. ზაზა ფაჩულიას ფეხის, ვლადიმერ ბოისას — მხრის.

**ირაკლი ბერტაია**



პარტიზანი — აეკ. ბერძენი მიხაილ კაკიუზისი ორ ბელგრადელ მეტოქეს შორის მოქცეულიც ბურთისთვის იბრძვის

## ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. IX ტური. 19-20 დეკემბერი

### A ჯგუფი

**შარლერუა 75:77 უნიკახა**

შარლერუა: ელისი (7), როუვი (14), ჯერომი (19), ჰიუგინსი (19), ვუიჩი, სტასი (10), პოტერი (4), ენგელანტი (2)

უნიკახა: ბ. როდრიგესი (8), მრშიჩი (17), ფილიპი (7), აბრამსი (12), ვასკესი (2), კაბესასი (3), გუროვიჩი (10), კორნგაი (7), ვეისი (6), სონკო (5)

**მაკაბი 75:56 შლიონსკი**

მაკაბი: ჰენფელდი (5), ბრისკერი (3), შარფი (7), ჰოფმანი (7), პარკერი (20), შელეფი, ბურშტეინი (7), ჰალპერინი, საფარი, მაკდონალდი (18), ბეშოქი (8)

შლიონსკი: პალესასი, რაიტი (20), პოკარსი (4), ზიელინსკი (4), ვიეიერა (6), ადომაიტისი (6), ფეტისოვი (5), ეინიკისი (2), ტომჩიკი (9), სკიბნიევსკი

**ბენეტონი 88:86 ეფესი**

ბენეტონი: ნიკოლა (16), იდნი (18), სტონჩი (3), პიტისი (3), მარკონატო (11), ბულერი (2), ჩიკალკინი (7), ტომიდი (2), ნახბარი (11), გარბახოსა (15)

ეფესი: ბრაუნი (22), ონანი (11), შტომბერგასი (21), ვექილოღლუ, თუნჩერი (3), ილმაზი (2), ოქური (10), ჰუკერი (3), კამბალა (14)

**ოლიმპიაკოსი 91:75 ალბა**

ოლიმპიაკოსი: პაპალუკასი, პაპანიკოლაუ (5), ამანატიდისი (11), რიზაშე (14), ფორდი (28), ტომიჩი (11), ნიკაგბატსე, ფემერლინგი (4), ჯ. ფორესტი (14), დე მიგელი (4)

ალბა: როდლი (4), ი. ლუტკე (5), შულცე, პეშიჩი (14), ოზთურქი (8), კოტუროვიჩი (23), გარისი (3), ალექსისი (18), პაპიჩი, დემირელი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 9 | 7 | 2 | 676:620 | 16 |
| ბენეტონი | 9 | 7 | 2 | 767:743 | 16 |
| ოლიმპიაკოსი | 9 | 6 | 3 | 793:707 | 15 |
| უნიკახა | 9 | 5 | 4 | 680:682 | 14 |
| ალბა | 9 | 3 | 6 | 692:724 | 12 |
| შლიონსკი | 9 | 2 | 7 | 647:694 | 11 |
| შარლერუა | 9 | 2 | 7 | 676:759 | 11 |

### B ჯგუფი

**კინდერი 91:81 ბარსელონა**

კინდერი: ჯინობილი (30), აბიო (4), ბეჩიროვიჩი (7), ფროზინი (4), დ. ანდერსენი (15), რიგოდო (6), სმოდიში (21), იარიჩი (4)

ბარსელონა: ნ. როდრიგესი (5), ალსამორა, დე ლა ფუენტე (7), ეკონომუ, ოკულაია (26), დიგბე (5), ნავარო (15), დუენიასი, იასიკევიჩუსი (10), რუნციასი (8), კარნიშოვასი (5)

**ულქერი 79:66 ჟალგირისი**

ულქერი: ლოლისი (19), ფარსი (7), შტელმახერსი (6), გოლიოვიჩი (9), ერდენაი (12), ელი (15), აჩიკი (9), გონლუმი, ილდირიმი (2)

ჟალგირისი: გარნიშოვასი, სიძიაკი (7), ფუდბერი (6), მატულისი (10), სალენგა (10), ტ. მასიულისი (11), სლანინა (20), ა. მასიულისი (2)

**ოლიმპია 73:40 ლონდონ თაუერზი**

ოლიმპია: ვილში (8), გოლემაცი (9), ილიევსკი (5), მილიჩი (3), სუბოტიჩი, ზდოვცი (9), ავულობი (8), რადოევიჩი (6), მუძინოვიჩი (13), პუკიჩი (11), გრიფინი (1)

ლონდონ თაუერზი: ზეიკერი, ეფაამერი (12), ზუნგი, ვაიტი (7), ტომიჩი (2), იონგბლადი (5), მაიერსი (2), ჰიკი (4), კენტი (6), რობინსი (2)

**სკაილაინერზი 72:55 პერისტერი**

სკაილაინერზი: სტანქკუ (8), პენერი, დიარა, გორეე (18), ვინტერმანტელი, როლერი (14), ოსტინი (8), მარასი (12), ნ. ლუტკე-ლოხმანჩუკი (12)

პერისტერი: დიკინსი (2), პაპამაკარიოსი (3), პაპადატოსი (7), პელეკანოსი (10), აგრონი, პადაზოპულოსი, ვოიჩიკი (15), ცარცარისი (10), კიუპელი, ზ. ანდერსენი (3), ეფტიმიუ (2), მიტროპულოსი (3)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 9 | 7 | 2 | 747:636 | 16 |
| ულქერი | 9 | 6 | 3 | 738:658 | 15 |
| ოლიმპია | 9 | 6 | 3 | 682:602 | 15 |
| ბარსელონა | 9 | 6 | 3 | 758:699 | 15 |
| სკაილაინერზი | 9 | 6 | 3 | 665:682 | 15 |
| ჟალგირისი | 9 | 6 | 3 | 677:706 | 12 |
| პერისტერი | 9 | 2 | 7 | 680:732 | 11 |
| ლონდონი | 9 | 0 | 9 | 566:598 | 9 |

### C ჯგუფი

**კრკა 79:95 რეალი**

კრკა: ანზულოვიჩი, გნიდიჩი (11), სკელინი (17), ლაკოვიჩი (22), ბენეტი (13), გრუმი (8), დრობნიაკი, ჩაპინი, სამანიჩი (8)

რეალი: ა. ანგულო (7), სტრიულენსი (10), ჯორჯევიჩი (19), ლ. ანგულო (6), დუშან ვუკჩევიჩი (10), ტაბაკი (6), ერეროსი (7), ტარლაჩი (14), იტურბე (5), ზაუმინი (11)

**პანათინაიკოსი 83:80 ცსკა**

პანათინაიკოსი: ალვერტისი (6), სამჩსი (4), ჯ. როჯერსი (2), მულაომეროვიჩი (31), ბალოიანისი, ბოდიროგა (18), დ. მიდლტონი (4), ალბანო (10), პაპადოპულოსი (8), გიანულესი

ცსკა: მაკენტსი (7), მორგუნოვი (8), გირიჩეკი (30), პაშუტინი (12), მიგლინიეკსი (11), დომანი (2), პეტრენკო (10)

**ბუდუჩნოსტი 70:86 სკიპერი**

ბუდუჩნოსტი: სმილიანიჩი (12), რადონიჩი (5), რაკოჩევიჩი (17), დრაგან ვუკჩევიჩი (6), კუზმანოვიჩი (8), მილოევიჩი, ჩაბარკაპა (8), იესტრატიევიჩი (14)

სკიპერი: გოლდვაიონი (2), ბაზილე (19), ფუჩკა (18), ეფტიმოვი (4), საგიჩი (14), მენეგინი (5), მილიჩი (7), კოვაჩიჩი (14), პილუტი (3)

**პო ორტეზი 101:73 ზადარი**

პო ორტეზი: დიაკი (17), ფოსტე (16), ფ. პიეტრუსი (14), სლუკიჩი (13), ქრისტოფერი (11), დონიზილიო (10), ლუკოვსკი (9), მ. პიეტრუსი (6), ლუპასი (4), მილინკო (2)

ზადარი: მარინკოვიჩი (18), რუჟიჩი (15), როსანდიჩი (10), ბოგიტი (10), ოგიეი (9), პერიშიჩი (5), ფრსალე (4), შკალაბრინი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 9 | 8 | 1 | 768:667 | 17 |
| რეალი | 9 | 7 | 2 | 776:705 | 16 |
| ცსკა | 9 | 5 | 4 | 783:748 | 14 |
| პო ორტეზი | 9 | 5 | 4 | 757:729 | 14 |
| სკიპერი | 9 | 4 | 5 | 785:760 | 13 |
| კრკა | 9 | 3 | 6 | 773:810 | 12 |
| ზადარი | 9 | 2 | 7 | 726:820 | 11 |
| ბუდუჩნოსტი | 9 | 2 | 7 | 692:808 | 11 |

### D ჯგუფი

**ვილერბანი 73:71 ტაუ**

ვილერბანი: რადულოვიჩი (8), სი (9), ფუიჩიჩი (8), ბონატო (4), პეტროვი (9), პილი (8), ნესი (5), ფრიგუ (8), სელესტენდი (14)

ტაუ: სკოლა (19), ნოჩიონი (8), ბენეტი (4), ფორესტი (8), ტიმინსკასი (3), ტომაშევიჩი (10), ობერტო (15), კორჩიანი (4)

**ციბონა 71:74 სკავოლინი**

ციბონა: ლონგინი (6), კუში (4), სესარი (18), პრკაჩინი (5), ბოუმენი (8), რაჯა (18), მამიჩი (3), ფრიმენი (9), ოგუნსკი

სკავოლინი: ბერიჩი (16), ბუკერი (19), გიგენა (3), ლ. მიდლტონი (16), პუჩილე (5), ტრაინა, ტუშეკი (6), მაჯოლი (2), ბლეერი (8)

**ურალ გრეიტი 109:79 ოსტენდე**

ურალ გრეიტი: ბაშმინოვი (2), პანოვი, კარასიოვი (12), ვაიშვილა, მიხაილოვი (23), პეგუშინი, აელევი (35), დაინეკო (20), ბოუი (17)

ოსტენდე: მაიორი (2), ვან პაასენი (5), ბეერინი (16), ჩიზმიჩი, გევრაიტისი (15), ბიგსი (19), როსტერტი (2), მენამი, კოტი (7), პრამშუელისი (13)

**პარტიზანი 69:74 აეკ**

პარტიზანი: შუბანოვიჩი (20), პეტროვიჩი (7), ოსტოიჩი, სტანოევიჩი (6), მილეტიჩი, გლინტიჩი, კრსტიჩი (6), ვუკოსავლიევიჩი (10), ავრამოვიჩი (3), ნინკოვი (7)

აეკ: პოლინიკე (29), ზისისი (5), სისისი (2), დიკოუდისი (16), პაპანი (6), პეტერსი (12), კაკიუზისი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 9 | 7 | 2 | 760:674 | 16 |
| სკავოლინი | 9 | 6 | 3 | 735:711 | 15 |
| ურალ გრეიტი | 9 | 6 | 3 | 787:762 | 15 |
| ტაუ | 9 | 5 | 4 | 785:689 | 14 |
| პარტიზანი | 9 | 5 | 4 | 729:754 | 14 |
| ვილერბანი | 9 | 4 | 5 | 674:725 | 13 |
| ციბონა | 9 | 2 | 7 | 667:734 | 11 |
| ოსტენდე | 9 | 1 | 8 | 720:806 | 10 |

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# თუ ანგელოზები დაფრინავენ, ლოს ანჯელესში კობი იკითხეთ

## ოღონდ: კალათბურთში ქერაპულულებიანს ნუ მოიძიებთ



[illegible]

**20 დეკემბერი**

**[illegible]**

**ნიუ იორკი: [illegible] (27), [illegible]**

**[illegible]**

**[illegible]**

**ჰიუსტონი: ფრენსისი (25 ქულა, 13 მოხსნა), მობლი (16), [illegible] (15 ქულა, 10 პასი)**

**ლეიკერსი: ბრაიანტი (27), ფიშერი (23), ონილი (15 ქულა, 14 მოხსნა)**

**დალასი 113:101 მილუოკი**

**დალასი: ფინლი (33 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ნეში (33)**

**მილუოკი: ალენი (21), რობინსონი (21), რიდი (16)**

**ტორონტო 96:91 ჩიკაგო**

**ტორონტო: კარტერი (33), დევისი (15 ქულა, 11 მოხსნა)**

**ჩიკაგო: მილერი (24 ქულა, 10 მოხსნა), ფიზერი (19)**

დღეს ჩვენ შეგვიძლია, თამამად ვთქვათ — „ლოს ანჯელეს ლეიკერსი" ნბა-ს უძლიერესი გუნდია, ხოლო მათ, ვინც შემოდავებას დააპირებს (ასეთი ბევრი არ უნდა იყოს), შევახსენებთ, რომ მან ბოლო ორი სეზონის პლეი ოფი მოიგო და ახლაც რეგულარულ ჩემპიონატს ყოჩაღ ლიდერობს.

რადგან „ლეიკერსის" პირველობაში შევთანხმდით, ახლა ის ვიკითხოთ — ვინაა ამ გუნდის საუკეთესო მოთამაშე? შაკილ ონილი — აქ თითქოს ორი აზრი არ არსებობს მაგრამ... საერთოდ, აზრი იმდენი არსებობს, რამდენიც მოაზროვნე ადამიანი, ასე რომ, ბევრისთვის თუ ონილია „ლეიკერსში" უძლიერესი, სხვათათვის — რიკ ფოქსი გახლავთ. შაკი ქულების კეთების მანქანაა. როცა თამაში არ მისდის, მაშინაც აგდებს 20-25 ქულას. შაკილზე არანაკლები მხარდამჭერი ჰყავს კობი ბრაიანტს, რომელიც ჯერაც მერყევი და იქნებ ბოლომდე ჩამოუყალიბებელი კალათბურთელია, მაგრამ, სამაგიეროდ, მოედანზე ცეცხლის დანთება და ერთ წუთში 6-7 ქულის გაკეთება შეუძლია. გადამწყვეტი სროლის შესრულებასაც უფრო ხშირად მას ანდობენ.

რაკი ზოგადი საუბრით კონკრეტულ დასკვნამდე ვერ მივედით, ერთი შემთხვევა განვიხილოთ. 20 დეკემბერს „ლეიკერსი" „ჰიუსტონს" ესტუმრა. ლოსანჯელესელები გამარჯვების გარდა არაფერზე ფიქრობდნენ და მოუგეს კიდეც მეტოქეს, რომლისთვისაც სხვათა შორის, ეს მარცხი ზედიზედ მეთხუთმეტე იყო. შაკილ ონილმა ცუდად არ ითამაშა, კობი ბრაიანტი ბრწყინავდა, ორივე კი გამთამაშებელმა დერიკ ფიშერმა დაჩრდილა. ფიშერი ერთი უცნაური ბიჭია, შეუძლია, უშუალო საქმე, ბურთის გათამაშება, გვერდზე გადადოს და შეხვედრა ნული პასით დაამთავროს. სამაგიეროდ, ჩააგდოს ძალიან ბევრი სამქულიანი, მომდევნო სამ თამაშში კი მხოლოდ ორჯერ ისროლოს შორი დისტანციიდან. „ჰიუსტონის" სამწუხაროდ, რომელმაც, მართალია, ზედიზედ ბევრი წააგო, მაგრამ „ლეიკერსს" დიდი წინააღმდეგობა გაუწია, ფიშერს სამქულიანების დღე ჰქონდა. ფიშერმა შვიდი სამიანი ჩაუგდო მასპინძლებს, უმრავლესობა მნიშვნელოვან მომენტებში და კერკეტი მეტოქე ბოლო წამამდე მდევრად ამყოფა. ნიშნავს კი ეს იმას, რომ ფიშერი „ლეიკერსში" საუკეთესოა? თუნდაც იმიტომ, რომ კალათბურთელის ერთი მატჩით შეფასება არასერიოზულია. რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, საუკეთესოს გამოსავლენად არსებობს გამოკითხვები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სეზონის ბოლოს ტარდება. იქამდე დიდი დროა, ასე რომ, ჯობს ყველამ ჩვენი აზრი ვიქონიოთ და გრძელ სეზონს თვალყური ვადევნოთ.

„ნიუ იორკს" შინ მოგება შეეძლო. „მემფისთან" მატჩის დამთავრებას რამდენიმე წამი აკლდა, როდესაც მასპინძელმა მარკუს კემბიმ მეტოქის ფარქვეშ მიიღო ბურთი და ნახტომში ესროლა. მისი აცილებული თანაგუნდელმა კურტ ტომასმა მოხსნა და დაამატა. რკალზე ასხლეტილი ბურთი ორიოდ მეტრში ჩასაფრებულ ნიუიორკელ გამთამაშებელ მარკ ჯექსონს მიუვიდა და, ცხადია, მანაც ესროლა. მისი აცილებული კვლავ მარკუს კემბიმ მოხსნა და დაუფიქრებლად ისროლა... „მემფისის" მწვრთნელი სიდნი ლავი შეგირდებს მთელი ხმით უყვიროდა, ბურთისთვის ხელი ეკრათ, მოედანს გარეთ გადაეგდოთ, მაგრამ ისინი ვერ ახერხებდნენ. ასე შეიძლებოდა, დაუსრულებლად გაგრძელებულიყო, მაგრამ ამასობაში მატჩისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა და „მემფისმა" სეზონში მეექვსე გამარჯვება იზეიმა. სწორედაც რომ იზეიმა, რამეთუ ეს გუნდი „მედისონ სკვერ გარდენში" ღირსეულ წაგებაზეც ყაბულს იქნებოდა.

„მზად არ ვიყავით თამაშისთვის, ცალ-ცალკე ვირჯებოდით. ალბათ იმიტომ, რომ გვჯეროდა, მეტოქეს ცალი ხელით მოვუგებდით" — თქვა ნიუიორკელმა ლატრელ სპრიუელმა. მან შესანიშნავად ითამაშა, ბოლო მეოთხედში 14 ქულა ჩააგდო და მასპინძლებს ცხრაქულიანი ჩამორჩენა გაუქვითა, მაგრამ მაინც დაიჩრდილა, რადგან მისმა გუნდმა დამსახურებულად წააგო.

ქებით მოვიხსენიოთ „მემფისის" ახალბედა ლიდერი შეინ-ბეტიე, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე ათი წამით ადრე თავისიანები საბოლოოდ დააწინაურა — 90:88. მას შემდეგ იყო, „ნიუ იორკმა" ოთხი-ხუთი სროლა რომ გააფუჭა.

დონ ნელსონი, „დალასის" მწვრთნელი — „დიდი საცოდავი იყო". მატჩში საშუალოდ 23 ქულის მომხვეჭმა გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ „მილუოკისთან" შეხვედრაში თავის ოქროს ხელებს ოდენ რვა ქულა გამოადნო. მისმა „დალასმა" კი მაინც მოიგო, რადგან, როგორც ირკვევა, სწორედ ამ გუნდს ჰყავს ნბა-ში საუკეთესო უკანა ხაზი და არა მის მიერ ძლეულ „მილუოკის". სტუმართა მძლავრმა უკანახაზმა, რომელიც რეი ალენისგან და სემ კასელისგან შედგება, „დალასს" 33 ქულა ჩაუგდო, ხოლო თავად „დალასის" დამწყებმა, დაბლებმა სტივ ნეშმა და მაიკლ ფინლიმ 33-33 ქულა გაიღეს. ამ ორს 15-ქულიანი სათადარიგო ტიმ ჰარდევეიც დავუმატოთ და „მილუოკის" საუკეთესო დაბლების პატრონი გუნდის საპატიო წოდებაც ჩამოვართვათ.

**ირაკლი ფირცხვილი**

# გრანტის კონტრაქტი გრანტია

## არ უნდა, მაგრამ ცოტა უკვე შემოეჭამა

**ამ რამდენიმე** დღის წინ „ორლანდო მეჯიქის" მწვრთნელმა, მოთამაშეებმა, მომსახურე პერსონალმა და საერთოდ ყველამ, ვისაც ამ გუნდზე გული შესტკივა, სამწუხარო ამბავი შეიტყო. გუნდის ერთ-ერთი ლიდერ და ნბა-ს ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავ (სუპერვარსკვლავ) გრანტ ჰილისთვის სეზონი 2001 წლის შუა დეკემბერში დასრულდა. მიზეზი ჰილის მარცხენა კოჭის ტრავმაა, რომელიც კალათბურთელმა ვერა და ვერ მოიშუშა. ამ დღეებში კოჭს ქირურგთა დანები დაამუშავებენ, უკვე მესამედ ამ ერთ წელიწადში.

„ძალიან დალონებულმა ვარ იმით, რომ თანაგუნდელები და ქომაგები გავაწბილე. მათ სჯეროდათ ჩემი და მეც მჯეროდა საკუთარი თავის. დიდი ხანია, გემრიელად არ მითამაშია და მიხაროდა მოედანზე შესვლა. სამწუხაროდ, ასე მოხდა. ექიმებმა მითხრეს, ოპერაცია აუცილებელია" — ჰილი ერთობ გულგატეხილი ჩანდა. მან ამ სეზონში მხოლოდ თოთხმეტი თამაში ჩაატარა, აქედან 12 დასტაქართა ზედამხედველობის ქვეშ. ბოლოს კი სულაც მინიმუმ ნახევარი წლით მოუხდა ბურთთან და მოედანთან დაშორება.

ვერა და ვერ აეწყო ამ ნიჭით სავსე ჯეელის ორლანდოური კარიერა. ჯერ კიდევ 2000 წლის პლეი ოფში შეაწუხა კოჭმა. მაშინ „დეტროიტში" თამაშობდა. სეზონი რომ დასრულდა, „ორლანდოში" გადავიდა და „მეჯიქთან" შვიდწლიანი და 93-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. კლუბს მისი დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ ჰილმა ამ შვიდი წლიდან პირველი ორი ფაქტობრივად სრულად გამოტოვა. უმოქმედო წინა სეზონს მეორეც მოჰყვა. ამ ორ სეზონში ჰილმა „ორლანდოს" 118 თამაშიდან 90 გამოტოვა, რომ არაფერი ვთქვათ იმ ოქროს მედალზე, რომელიც ამერიკის ნაკრებმა უმისოდ ირგუნა 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე.



სიყვარული [illegible]

# პიტერ ბლეიკი: პატივის შემაღლესი ზომა



**ახალზელანდიელ** აფროსანს, პიტერ ბლეიკს, რომელსაც სიცოცხლეში არაერთი ჯილდო მოუპოვებია და საკუთარი მიღწევებით მსოფლიო გაუოცებია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა საბჭომ ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ჯილდო, „ოლიმპიური ორდენი" მიაკუთვნა. უეჭველია, სახელოვან ზღვაოსანს ასეთ პატივს სიცოცხლეშივე დასდებდნენ, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ XXI საუკუნეში იგი მეკობრეთა მსხვერპლი შეიქნებოდა.

უპრესტიჟულესი ამერიკის თასის ორჯერ მომგები, ჟიულ ვერნის სახელობის ჯილდოს მომპოვებელი, გარსაქვეყნო ნაოსნობის რეკორდსმენი, ახალი ზელანდიის ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი, სახელოვანი ფრანგი ოკეანოლოგისა და მოგზაურის, ჟაკ კუსტოს საქმის გამგრძელებელი და „კალიპსო 2-ის" კაპიტანი ორიოდე კვირის წინ დაიღუპა. ეს სახელოვანი ზღვის მგელი ამაზონის წყალში სამეცნიერო ექსპედიციას ხელმძღვანელობდა და მეკობრეთა ტყვიამ შეიწირა.

სიკვდილის შემდეგ პიტერ ბლეიკის ოლიმპიური ორდენით დაჯილდოების შესახებ განაცხადა სოკ-ის პრეზიდენტმა და თავად ყოფილმა აფროსანმა ჟაკ როგმა.

# სოკ-ს ახალი მეფუღლე ჰყავს

***ბოლო** ორი ათეული წლის განმავლობაში ოლიმპიური მოძრაობის ფინანსურ წარმატებათა შემოქმედი კანადელი დიკ პაუნდი იყო. მას მერე, რაც იგი სოკ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჟაკ როგთან დამარცხდა, არც სამარკეტინგო სამსახურის ხელმძღვანელად დარჩა. კანადელის დაყოლიება რამდენჯერმე თავად როგმაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ყოფილმა ოლიმპიელმა მოცურავემ, დიკ პაუნდმა როგის თხოვნა, საქმიანობა გაეგრძელებინა, დიდ პატივად კი ჩათვალა, მაგრამ...*

*-ვფიქრობ, მეყო 20 წელი ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა. ცვლილებების დრო დადგა" — განაცხადა პაუნდმა.*

*სოკ-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, პაუნდის ადგილს ნორვეგიელი გერჰარდ ჰეიბერგი დაიკავებს.*

# უსაფრთხოების აბები და ამბები

**კანადის** ოლიმპიური ასოციაცია საკუთარი სპორტსმენების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ამუშავებს გეგმას, რომლის მიხედვითაც 350 ოლიმპიელი „სიპროს" აბებით მომარაგდება. აბები კი, არც მეტი, არც ნაკლები, ბოლო დროს ამერიკაში გავრცელებული ციმბირის წყლულის თავიდან ასაცილებლადაა განკუთვნილი. გარდა ამისა, სოლტ ლეიკ სიტიში კანადელ სპორტსმენთა დაცვაზე იზრუნებს 120-კაციანი დამხმარე ჯგუფიც, რომელმაც საამისოდ სპეციალური პროგრამაც კი გაიარა, რაც განსაკუთრებული შემთხვევისას ადამიანების შენობიდან ევაკუაციას ითვალისწინებს. მართალია, კანადის ნაკრების უსაფრთხოების გეგმა ბოლომდე არ შემუშავებულა, მაგრამ აქედანვეა ცნობილი, რომ მისი მთავარი ამოცანა ასპარეზობების მონაწილეებთან მუდმივი კავშირი იქნება, რათა გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ოპერატიულად იმის დადგენა, სად იმყოფება თითოეული სპორტსმენი.

**გიგა გურასაშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

**ინგლისი. პრემიერლიგა. XVIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 024 | დერბი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 025 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 19.00 | 026 | ლიდსი-ნიუკასლი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 027 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 028 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 029 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 030 | მიდლსბრო-ფულემი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 031 | სანდერლენდი-ევერტონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 032 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 033 | ტოტენჰემი-იფსვიჩი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 034 | ჩელსი-ბოლტონი | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 20.00 | 035 | ლივერპული-არსენალი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXV ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 037 | ბარნსლი-ჯილინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 038 | ბირმინგემი-უოლსოლი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 039 | ბირმინგემი-უოლსოლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 040 | ბარნლი-მილუოლი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 041 | ქრიუ-სიტი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 042 | ნორვიჩი-უიმბლდონი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 043 | პორტსმუთი-სტოკპორტი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 044 | პრესტონი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 045 | შეფილდი-როტერჰემი | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| 19.00 | 046 | უოტფორდი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ვესტ ბრომვიჩი-უენსდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.15 | 048 | ქოვენთრი-ბრედფორდი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XXIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 055 | ბორნმუთი-ქუინზ პარკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 056 | ბრისტოლი-რექსემი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 057 | ბრისტოლი-რექსემი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 058 | ბერი-ბლეკპული | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 059 | კოლჩესტერი-ჰადერსფილდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 060 | პიტერბრო-ტრანმერი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 061 | რედინგი-უიგანი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 062 | უიკომბი-კემბრიჯი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 063 | უიკომბი-კემბრიჯი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XXIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 069 | დარლინგტონი-ჩელტენემი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 070 | ჰალიფაქსი-კიდერმინსტერი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 19.00 | 071 | ლეიტონი-ლინკოლნი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 19.00 | 072 | ლუტონი-ჰარტლპული | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 073 | როჩდეილი-იორკი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 074 | რაშდენი-კარლაილი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 19.00 | 075 | სკანთორპი-პლიმუთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 076 | ტორკი-ოქსფორდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XIX ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 087 | სოშო-პსჟ | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 088 | ლილი-ბორდო | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 23.00 | 089 | ლიონი-ბასტია | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 090 | ოსერი-ლორიანი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 091 | მეცი-მონპელიე | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 092 | მონაკო-რენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 093 | გენგამი-სედანი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 23.00 | 094 | ნანტი-ტრუა | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XXI ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.15 | 105 | ლე მანი-სტ. ეტიენი | 2,1 | 2,7 | 3,6 |
| 23.00 | 106 | კანი-აიაჩო | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 23.00 | 107 | გრენობლი-ამიენი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 23.00 | 108 | შატორუ-გენიონი | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 23.00 | 109 | ნიორი-ლავალი | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 23.00 | 110 | ნიმი-ნიცა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 23.00 | 111 | კრეტეი-ვალენსი | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| 23.00 | 112 | ბოვე-მარტიგი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 113 | ნანსი-ლე ავრი | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 23.00 | 114 | სტრასბური-ისტრი | 1,4 | 3,6 | 7,5 |

**იტალია. სერია „ა“. XVI ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 126 | კიევო-რომა | 2,6 | 2,8 | 2,6 |
| 23.30 | 127 | ლაციო-ბოლონია | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 18.00 | 128 | ბრეშა-იუვენტუსი | 3,4 | 2,7 | 2,2 |
| 18.00 | 129 | მილანი-ვერონა | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 18.00 | 130 | პარმა-ფიორენტინა | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 18.00 | 131 | პერუჯა-ატალანტა | 2,3 | 2,9 | 3,2 |
| 18.00 | 132 | პიაჩენცა-ინტერი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 18.00 | 133 | ტორინო-ვენეცია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 18.00 | 134 | უდინეზე-ლეჩე | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**იტალია. სერია „ბ“. XVIII ტური**

23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 144 | ბარი-სალერნიტანა | 1,95 | 2,8 | 4,0 |
| 18.00 | 145 | კალიარი-ჯენოა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 146 | ჩიტადელა-კომო | 3,3 | 2,8 | 2,2 |
| 18.00 | 147 | კროტონე-პისტოიეზე | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 18.00 | 148 | ემპოლი-ანკონა | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.00 | 149 | მოდენა-მესინა | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 150 | ნაპოლი-სიენა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 151 | პალერმო-კოზენცა | 1,95 | 2,8 | 3,6 |
| 18.00 | 152 | რეჯინა-ტერნანა | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.00 | 153 | სამპდორია-ვიჩენცა | 2,4 | 2,5 | 3,2 |

**იტალია. სერია „ც1-ა“. XVII ტური**

23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 154 | ალძანო-ლივორნო | 3,4 | 2,7 | 2,2 |
| 17.30 | 155 | არეცო-სპალ | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 17.30 | 156 | ჩეზენა-ლუკეზე | 2,2 | 2,5 | 3,6 |
| 17.30 | 157 | ლუმეცანე-პადოვა | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 158 | მონცა-ტრიესტინა | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 17.30 | 159 | პიზა-რეჯანა | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 17.30 | 160 | სპეცია-ალბინოლეფე | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 17.30 | 161 | ტრევიზო-ლეკო | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 17.30 | 162 | ვარეზე-კარარეზე | 1,85 | 2,6 | 5,0 |

**იტალია. სერია „ც1-ბ“. XVII ტური**

23 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 163 | ბენევენტო-კოზტი | 1,95 | 2,7 | 4,2 |
| 17.30 | 164 | კატანია-აველინო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 17.30 | 165 | ფერმანა-გილა | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 17.30 | 166 | ჯულიანოვა-ლანჩანო | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 17.30 | 167 | ლოდიჯანი-ტარანტო | 2,8 | 2,5 | 2,7 |
| 17.30 | 168 | ნოჩერინა-დი სანგრო | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 17.30 | 169 | პესკარა-ტორესი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 17.30 | 170 | სორა-პეზარო | 1,9 | 2,5 | 5,0 |
| 17.30 | 171 | ვიტერბეზე-ასკოლი | 2,8 | 2,5 | 2,7 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. XVIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 172 | სოსიედადი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 173 | დეპორტივო-ბეტისი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 24.00 | 174 | სევილია-სელტა | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 00.30 | 175 | ესპანიოლი-ბარსელონა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 00.30 | 176 | ვალენსია-მალაგა | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 01.00 | 177 | ტენერიფე-ლას პალმასი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 20.00 | 178 | სარაგოსა-ვილიარეალი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.00 | 179 | რაიო-ალავესი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 20.00 | 180 | მალიორკა-რეალი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 23.00 | 181 | ოსასუნა-ბილბაო | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. XX ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 182 | ელჩე-ხაენი | 2,0 | 2,6 | 4,2 |
| 21.00 | 183 | მურსია-ბურგოსი | 2,6 | 2,6 | 2,8 |
| 21.00 | 184 | ნუმანსია-ლეგანესი | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 21.00 | 185 | ალბასეტე-ფეროლი | 1,85 | 2,8 | 4,4 |
| 21.30 | 186 | ატლეტიკო-რასინგი | 1,7 | 2,7 | 5,3 |
| 23.00 | 187 | პოლი ეხიდო-ესტრემადურა | 2,6 | 2,5 | 2,8 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 15.00 | 188 | სერესი-უელვა | 2,1 | 2,6 | 3,8 |
| 20.00 | 189 | სპორტინგი-სალამანკა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 20.00 | 190 | ბადახოსი-ლევანტე | 1,65 | 2,8 | 5,6 |
| 20.00 | 191 | კორდობა-ეიბარი | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 20.00 | 192 | ხიმნასტიკი-ოვიედო | 3,3 | 2,6 | 2,3 |

**პორტუგალია. I ლიგა. XVI ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 193 | ფარენსე-ლეირია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 194 | სალგეირუში-ჟილ ვისენტე | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 20.00 | 195 | მარიტიმუ-ვარზიმი | 1,35 | 3,4 | 7,5 |
| 20.00 | 196 | ფერეირა-ბეირა მარი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 197 | ბრაგა-ბელენენსეში | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 24.00 | 198 | სანტა კლარა-პორტუ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 01.00 | 199 | გიმარაეში-ალვერკა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 01.00 | 200 | სპორტინგი-სეტუბალი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 201 | სპორტინგი-სეტუბალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 202 | ბოავიშტა-ბენფიკა | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**პორტუგალია. II ლიგა. XVI ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 203 | ამადორა-მაია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 204 | ლამაში-ოლივეირენსე | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 205 | ესპინიუ-ოვარენსე | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 206 | შავეში-პენაფიელი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 207 | შავეში-პენაფიელი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 19.00 | 208 | ავეში-ნავალი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 19.00 | 209 | აკადემიკა-ფელგეირაში | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 210 | აკადემიკა-ფელგეირაში 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 20.00 | 211 | ნასიონალი-მორეირენსე | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 212 | რიუ ავე-პორტიმონენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 213 | ლეცა-კამპომაიორენსე | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XIX ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 220 | ბრედა-ჰერენვენი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 221 | პსვ-გრონინგენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 222 | პსვ-გრონინგენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.30 | 223 | ტილბურგი-ტვენტე | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 22.30 | 224 | ვიტესი-ვალვაიკი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 16.00 | 225 | უტრეხტი-აიაქსი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 17.30 | 226 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 17.30 | 227 | ნაიმეგენი-როდა | 2,1 | 3,2 | 2,9 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XIX ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 234 | ჰერაკლესი-ემენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 235 | იგლსი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 17.30 | 236 | ვოლენდამი-ვეენდამი | 2,2 | 3,2 | 2,7 |

**ბელგია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 248 | ვესტერლო-სტანდარდი | 3,1 | 3,2 | 2,1 |

**ბელგია. II დივიზიონი. XVIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 250 | დესელი-ვირტონი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 251 | მეხელენი-ვიზეტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 252 | მეხელენი-ვიზეტი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |
| 23.00 | 253 | ინგელმუნსტერი-სტრომბეკი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 254 | პატრო-მონსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 255 | ლიეჟი-ჰეუსდენი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 17.30 | 256 | დენდერლეუ-ტინენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 257 | სერკლი-გეელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**თურქეთი. XVII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 15.30 | 259 | მალათია-სამსუნი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 15.30 | 260 | ტრაბზონი-გიოზთეფე | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 15.30 | 261 | ქოჯაელი-დენიზლი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 15.30 | 262 | ანკარაგიუჯიუ-რიზე | 1,65 | 3,2 | 4,4 |
| 15.30 | 263 | ისთანბული-ანთალია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 15.30 | 264 | ბურსა-გენჩლერბირლიგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 15.30 | 265 | იოზგათი-გალათასარაი | 4,4 | 3,4 | 1,65 |
| 21.00 | 266 | ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. XIX ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 267 | დანდი-კილმარნოკი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 268 | პართსი-მოზერუელი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 269 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 270 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.00 | 271 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 272 | რეინჯერსი-დანდი იუნ. 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 273 | სტ. ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 21.35 | 274 | აბერდინი-სელტიკი | 5,0 | 3,4 | 1,55 |

**შოტლანდია. I დივიზიონი. XX ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 275 | ერდრი-სტ. მირენი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 19.00 | 276 | კლაიდი-როსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 19.00 | 277 | ინვერნესი-არბროთი | 1,95 | 3,3 | 3,3 |

**შოტლანდია. II დივიზიონი. XVIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 278 | ალოა-სტრანრაერი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 279 | კლაიდბენკი-ბერიკი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.00 | 280 | ქოუდენბითი-ჰამილტონი | 1,95 | 3,1 | 3,3 |
| 19.00 | 281 | ქუინი-მორტონი | 1,75 | 3,3 | 3,8 |

**შოტლანდია. III დივიზიონი. XVIII ტური**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 282 | ალბიონი-ელგინი | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 19.00 | 283 | ბრეჩინი-სტირლინგი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 19.00 | 284 | ისტ სტირლინგი-ისტ ფაიფი | 2,3 | 3,4 | 2,5 |
| 19.00 | 285 | პიტერჰედი-მონტროუზი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 286 | ქუინზ პარკი-დამბარტონი | 3,6 | 3,4 | 1,75 |

**კალათბურთი.**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 534 | ატლანტა-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 04.30 | 535 | ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.30 | 536 | კლივლენდი-ინდიანა | 1,65 | 12,0 | 1,75 |
| 05.00 | 537 | ნიუ ჯერსი-იუტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.30 | 538 | ჰიუსტონი-მილუოკი | 2,1 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 539 | დალასი-ორლანდო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.30 | 540 | ჩიკაგო-მინესოტა | 2,5 | 12,0 | 1,3 |
| 06.00 | 541 | ფინიქსი-პორტლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 06.00 | 542 | დენვერი-გოლდენ სტეიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 07.00 | 543 | სიეტლი-დეტროიტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 07.30 | 544 | კლიპერსი-საკრამენტო | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 24.00 | 545 | ტორონტო-მაიამი | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 03.00 | 546 | ბოსტონი-მემფისი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.00 | 547 | სან ანტონიო-მილუოკი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 06.00 | 548 | საკრამენტო-ფინიქსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

**ჰოკეი.**

22 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 593 | ნიუ ჯერსი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 594 | ტორონტო-ბუფალო | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.00 | 595 | მონრეალი-ლოს ანჯელესი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 596 | აილენდერსი-ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.00 | 597 | ფილადელფია-კაროლინა | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 598 | ვაშინგტონი-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.00 | 599 | კოლუმბუსი-დალასი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 04.30 | 600 | ფლორიდა-სტ. ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 07.00 | 601 | ვანკუვერი-მინესოტა | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| | | **23 დეკემბერი** | | | |
| 22.00 | 602 | რეინჯერსი-ოტავა | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 603 | ნეშვილი-სან ხოსე | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 604 | ატლანტა-დალასი | 2,4 | 4,0 | 1,7 |
| 04.00 | 605 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 606 | ფინიქსი-ანაჰაიმი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 06.00 | 607 | კოლორადო-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 3,4 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **22 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 16.00 | 701 | დერბი-ასტონ ვილა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 19.00 | 702 | ჩარლტონი-ბლექბერნი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 703 | ლიდსი-ნიუკასლი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 19.00 | 704 | ლესტერი-ვესტ ჰემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 19.00 | 705 | მანჩესტერი-საუთჰემპტ. | 1,5 | 15,0 | 30,0 | 2,9 | 5,6 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 706 | მიდლსბრო-ფულემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 19.00 | 707 | სანდერლენდი-ევერტონი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 19.00 | 708 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,3 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 709 | კიევო-რომა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 710 | ლაციო-ბოლონია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,2 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.00 | 711 | სოსიედადი-ვალიადოლ. | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 712 | დეპორტივო-ბეტისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 24.00 | 713 | სევილია-სელტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 00.30 | 714 | ესპანიოლი-ბარსელონა | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 00.30 | 715 | ვალენსია-მალაგა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 01.00 | 716 | ტენერიფე-ლას პალმასი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| | | **23 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 717 | ჩელსი-ბოლტონი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,1 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 718 | ლივერპული-არსენალი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 14,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 719 | ბრეშა-იუვენტუსი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 | 720 | მილანი-ვერონა | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 721 | პარმა-ფიორენტინა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 722 | პერუჯა-ატალანტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 18.00 | 723 | პიაჩენცა-ინტერი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 18.00 | 724 | ტორინო-ვენეცია | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 725 | უდინეზე-ლეჩე | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 20.00 | 726 | სარაგოსა-ვილიარეალი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 727 | რაიო-ალავესი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 20.00 | 728 | მალიორკა-რეალი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,7 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.00 | 729 | ოსასუნა-ბილბაო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

ტურში გატანილი გოლები

**22 დეკემბერი 16.00 781 ინგლისი (მე-18) ------ 24 და ნაკლები - 1,9; ------------ 26 და მეტი - 1,9**

**22 დეკემბერი 23.30 783 იტალია (მე-16) ------- 23 და ნაკლები - 1,9; ------------ 25 და მეტი - 1,9**

**22 დეკემბერი 23.00 784 ესპანეთი (მე-18) ----- 25 და ნაკლები - 1,9; ------------ 27 და მეტი - 1,9**

**22 დეკემბერი 19.00 785 პორტუგალია (მე-16) 22 და ნაკლები - 1,9; ------------ 24 და მეტი - 1,9**

| 927 მსოფლიო ჩემპიონატი | |
|---|---|
| არგენტინა | 4,0 |
| ბრაზილია | 4,0 |
| იტალია | 5,0 |
| ინგლისი | 5,0 |
| საფრანგეთი | 6,0 |
| გერმანია | 8,0 |
| ესპანეთი | 10,0 |
| პორტუგალია | 15,0 |
| ნიგერია | 25,0 |
| პარაგვაი | 40,0 |
| შვედეთი | 40,0 |
| კამერუნი | 40,0 |
| რუსეთი | 50,0 |
| პოლონეთი | 50,0 |
| ურუგვაი | 50,0 |
| ირლანდია | 50,0 |
| დანია | 50,0 |
| ხორვატია | 50,0 |
| ბელგია | 50,0 |
| სამხრეთ აფრიკა | 50,0 |
| მექსიკა | 50,0 |
| იაპონია | 75,0 |
| თურქეთი | 75,0 |
| ეკვადორი | 75,0 |
| სლოვენია | 100,0 |
| კორეა | 100,0 |
| აშშ | 100,0 |
| ჩინეთი | 100,0 |
| სენეგალი | 150,0 |
| ტუნისი | 150,0 |
| კოსტა რიკა | 150,0 |
| საუდის არაბეთი | 250,0 |

928. I ადგილი ჯგუფში

| A ჯგუფი | |
|---|---|
| საფრანგეთი | 1,2 |
| ურუგვაი | 5,0 |
| დანია | 5,0 |
| სენეგალი | 20,0 |
| **B ჯგუფი** | |
| ესპანეთი | 1,4 |
| პარაგვაი | 4,0 |
| სამხრეთ აფრიკა | 8,0 |
| სლოვენია | 8,0 |
| **C ჯგუფი** | |
| ბრაზილია | 1,15 |
| თურქეთი | 5,5 |
| კოსტა რიკა | 10,0 |
| ჩინეთი | 15,0 |
| **D ჯგუფი** | |
| პორტუგალია | 1,5 |
| პოლონეთი | 3,2 |
| კორეა | 6,0 |
| აშშ | 10,0 |
| **E ჯგუფი** | |
| გერმანია | 1,55 |
| კამერუნი | 3,8 |
| ირლანდია | 4,0 |
| საუდის არაბეთი | 20,0 |
| **F ჯგუფი** | |
| არგენტინა | 1,6 |
| ინგლისი | 2,4 |
| ნიგერია | 6,0 |
| შვედეთი | 8,0 |
| **G ჯგუფი** | |
| იტალია | 1,4 |
| ხორვატია | 5,0 |
| მექსიკა | 6,0 |
| ეკვადორი | 7,0 |
| **H ჯგუფი** | |
| რუსეთი | 2,5 |
| ბელგია | 2,5 |
| იაპონია | 3,0 |
| ტუნისი | 7,0 |

ჩემპიონისა და ჯგუფში გამარჯვებულის გადამრავლება არ შეიძლება

# გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
## რუსთავი კოსტავას გამზირი №23

## 28 დეკემბრიდან „კროკოში" საახალწლო შესვენებაა. მუშაობა 4 იანვარს განახლდება

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ᵇ | |
| ქობულეთი | დავით აღმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ბოლნისი | სულხან-საბას გამზირი №104 | |

ავტორბოლა

# ბარში მეხი გავარდა



ახალ „ბარ-ჰონდას“ ისევ ჟაკ ვილნევი და ოლივიე პანი მოათვინიერებენ

**ბრიტანულ-ამერიკული** გუნდის პრეზენტაციას წინ დიდი ვნებათაღელვა უსწრებდა. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა ცნობა იმის თაობაზე, რომ ახალი ბოლიდის წარდგენამდე ერთი დღით ადრე პოსტი დატოვა BAR-ის გენერალურმა დირექტორმა კრეიგ პოლოკმა, ვინც საჯინიბოს ჩამოყალიბება-დავაჟკაცებისთვის უზარმაზარი შრომა გასწია. შეფმა თავისი უეცარი გადადგომის მიზეზად საქმიანობის სფეროს შეცვლა დაასახელა, ახლა სხვა პროექტის განხორციელებას ვაპირებო. თითქოს ბუნდოვანი ნათქვამია, მაგრამ ყველაფრის მცოდნე ჟურნალისტებს რას გამოაპარებ — ამ სენსაციურ განცხადებას მაშინვე გამოაბეს კუდი და ის „სხვა პროექტი“ პოლოკის „რენოში“ შესაძლო გადასვლას დაუკავშირეს. მით უფრო, რომ კრეიგს ფრანგული კონცერნის ხელმძღვანელობასთან ახლო ურთიერთობა აქვს 1996 წლიდან, როცა „უილიამს-რენოს“ ბოლიდით მისი მეგობარი ჟაკ ვილნევი დაჯირითობდა. ვნახოთ, ყველაფერი ალბათ მალე გაირკვევა.

ეტყობა, პოლოკის წასვლა გუნდის დირექტორატისთვის არც ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან მისი შემცვლელი მეორე დღესვე გამონახეს და ინგლისის პატარა ქალაქ ბრეკლიში, BAR-ის შტაბბინაში მოწყობილ პრეზენტაციაზე საზოგადოებას „ლაქი სტრაიქ ბარ ჰონდას“ ახალ მოდელთან ერთად ახალი ბოსიც წარუდგინეს. ეს გახლავთ 49 წლის უელსელი დევიდ რიჩარდსი, ავტოსპორტში ღრმად ჩახედული და ცნობილი პიროვნება. იგი წლების მანძილზე აქტიურად მონაწილეობდა რალიში მსოფლიოს ჩემპიონატების ორგანიზებაში, ხოლო ერთხელ თავადაც გაიმარჯვა შტურმანის რანგში ცნობილ ფინელ პილოტ არი ვატანენთან ერთად. 1997-98 წლებში რიჩარდსი „ბენეტონის“ საფორმულო გუნდსაც ხელმძღვანელობდა.

როგორც დასახელებიდან ჩანს, ბარელებს „ჰონდასთან“ კონტაქტი არ გაუწყვეტიათ. ბრეკლიში ისიც გაცხადდა, რომ გუნდმა ამ უდიდეს ავტო-მოტო კონცერნთან ახალი სამწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რაც უფრო მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს. კერძოდ, „ჰონდა“ BAR-ს მხოლოდ უახლესი მოდიფიკაციის ძრავებით კი არ მოამარაგებს, ახალი შასის დამუშავებაშიც აქტიურად დაეხმარება.

გუნდის სამწლიან ისტორიაში საუკეთესო იყო შარშანდელი ჩემპიონატი, როდესაც 11 საჯინიბოს შორის საპატიო მეხუთე ადგილზე გავიდა. ამ წარმატებით ფრთაშესხმული ბარელები წლევანდელ სეზონში უფრო მაღლა აფრენას აპირებდნენ, პირიქით კი მოხდა — ჟაკ ვილნევის 12 ქულას ოლივიე პანიმ სულ ხუთი მიუმატა და BAR-მაც საბოლოოდ ერთი ადგილით უკან დაიხია. თუმცა ამას საკადრო წმენდა არ მოჰყოლია — ხელმძღვანელობამ საგაისოდაც ვილნევ-პანის დუეტს გამოუცხადა ნდობა.

კანადელის სამძლოლო ოსტატობა საყოველთაოდაა ცნობილი: ვილნევი მსოფლიოს ჩემპიონი იყო და ამით ყველაფერია ნათქვამი. 35 წლის პანი ერთ-ერთი უხნესი და გამოცდილი მეფორმულეა, მაგრამ თავისი შედეგებით კოლეგასთან ახლოსაც ვერ მივა. ფრანგის აქტივში ერთადერთი დიდი პრიზია, საერთო ჩათვლაში კი მერვე ადგილს ვერ ასცილებია. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ოლივიეს ხეირიანი მანქანით არასოდეს ურბოლია.

ბარმენები 2002 წლის გეგმებზე ხმამაღლა მაინცდამაინც არ მსჯელობენ. მათი უმთავრესი საზრუნავი ისედაც ხომ ცხადია — ყოველ ღონეს იხმარენ ხუთეულში დასაბრუნებლად.

**გია ახალაძე**

## BAR

BAR-ის სახელით ასპარეზობს 1999 წლიდან (1960-98 წლებში — „ტირელი“)
**გენერალური დირექტორი:** დევიდ რიჩარდსი
**ტექნიკური დირექტორი:** მალქოლმ ოსთლერი
**ბოლიდი:** BAR004
(სიგრძე 4,55მ; სიგანე 1,46მ; სიმაღლე 0,95მ)
**ძრავა:** „ჰონდა RA002E“ (V10)
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნ პოტენცა“
50 რბოლა; 37 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — V(2000)
2001 წელს დაიკავა VI ადგილი (17 ქულა)
ტესტ პილოტები: რიო ფუკუდა, დარენ მენინგი, ენტონი დევისონი
მთავარი სპონსორები: ლაქი სთრაიქი, ჰონდა, ტისკალი, ბრიჯსტოუნი, სონექსი, რეინარდ მოტორსპორტი, ბრუნოტი, ლინკოლნ ელექტრიკსი, ოზ რეისინგი



### ჟაკ ვილნევი
### კანადა

დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს სენ ჟან სიურ რიშელიეში.
ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 171სმ, წონა 67კგ
უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
პირველი გამარჯვება: ევროპის დიდი პრიზი (1996)
99 რბოლა, 11 მოგება, 13 პოული, 9 უსწრაფესი წრე, 209 ქულა
მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი
2001 წელს დაიკავა მე-7 ადგილი (12 ქულა)
ასპარეზობდა „უილიამსში“ (1996-98)
BAR-შია 1999 წლიდან



### ოლივიე პანი
### საფრანგეთი

დაიბადა 1966 წლის 2 სექტემბერს ლიონში. ცხოვრობს გარსში (საფრანგეთი)
სიმაღლე 173სმ, წონა 76კგ
ცოლშვილიანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994)
პირველი გამარჯვება: მონაკოს დიდი პრიზი (1996)
108 რბოლა, 1 მოგება, 61 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მერვე ადგილი (1995)
2001 წელს დაიკავა მე-15 ადგილი (5 ქულა)
ასპარეზობდა „ლიჟიეში“ (1994-96), „პროსტში“ (1997-99)
BAR-შია 2001 წლიდან

მძლეოსნობა

# რა კაცი მიდის, რა ქალი მოდის

**დავიწყოთ** სულ სხვა ამბით: სამხტომელმა ჯონათან ედვარდსმა გამოაცხადა, ერთ სრულ სეზონს ჩავატარებ და პენსიაზე გავალო. 35 წლის ათლეტის ამგვარი აზრი მოულოდნელი ვერ იქნება, მით უმეტეს, რომ ადრინდელივით სპორტულად აღარ მშიაო, განაცხადა სიდნეის ოლიმპიადისა და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა, რომლის ბოლო მიღწევა ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება იყო. ახლა ედვარდსი გეგმავს წარმატებულ გამოსვლას ევროპის ჩემპიონატზე, აგრეთვე თანამეგობრობის თამაშებზე, რომელიც მანჩესტერში უნდა გაიმართოს.

წერილის მთავარი თემა კი დავიწყებული მარი ჟო პერეკი გახლავთ. სიდნეის ოლიმპიადიდან ფრანგი 400 მეტრზე მორბენალი ზედ პირველი გახურების წინ გაიქცა, „დარლინგ ჰარბორის“ ოტელში ვილაცეები მემუქრებოდნენო. მერე პერეკმა რამდენიმე კომენტარი გააკეთა და მესვეტე ბერივით დადუმდა. მისი ხმა გაისმა მხოლოდ ერთხელ, როცა მან საზოგადოებას აღუთქვა, მალე გამოვჩნდებიო და ისევ დაიკარგა. შარშანდელი 20 ოქტომბრიდან მის ვებგვერდზეც გაქრა ახალი ჩანაწერები. მოკლედ, ფრანგი საიდუმლოებით მოცული პიროვნება გახდა.

ორიოდე დღის წინ მარი ჟო პერეკი სამშობლოდან, კარიბულ კუნძულ გვადელუპედან, რომელსაც რიგ სხვა კუნძულებთან ერთად საფრანგეთის „ზღვისგაღმა დეპარტამენტებს“ უწოდებენ, შეეხმიანა საზოგადოებას. გაირკვა, რომ 33 წლის მორბენალი კუნძულის დედაქალაქ პოინტ ა პიტრის სპორტულ კოლეჯში დასრულებულ კარ შიდა ვარჯიშობს და კარიერის დასრულებას არ აპირებს. კერძოდ, პერეკს რბენა განუზრახავს 2003 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც პარიზში უნდა შედგეს და მორბენალს იქ მაინც არავინ შეუვარდება ნომერში, რადგან ქომაგები მის მხარეს იქნებიან.



მარი ჟო პერეკი

პერეკი ორგზის ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია მოზრდილი სამძლეოსნო სტაჟით. მან მოიგო ტოკიოსა (1991) და გოტენბურგის (1995) მსოფლიოს ჩემპიონატები, ბარსელონისა და ატლანტის ოლიმპიადები. ამ უკანასკნელზე საერთო ყურადღება მიიქცია პერეკის ეპიკურმა დუელმა ახალგაზრდა კეტი ფრიმენთან. ავსტრალიელმა აბორიგენმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ პერეკის 48,25 წამის ფონზე 48,63 უჩვენა და მხოლოდ მცირე რევანშის აღება შეძლო ბრიუსელში, „ოქროს ლიგის“ ეტაპზე. გულის ჯავრის ბოლომდე ამოსაყრელად ფრიმენი სიდნეის ოლიმპიადას უცდიდა, მაგრამ იქ რაც მოხდა, მოგახსენეთ.

მოკლედ, პერეკი დაბრუნებას აპირებს, მაგრამ როგორი იქნება იგი? რა შანსები ექნება 35 წლის მორბენალს ახალგაზრდა შავი ავაზის წინააღმდეგ? ჩვენ ვიცით მერლინ ოტის პრეცედენტი, რომელიც 40 წლისა ჯერ კიდევ ახერხებდა მომავალი თაობის გამწარებას, მაგრამ ეს გახლდათ გამონაკლისი. მით უფრო, რომ პერეკს სულ არ გააჩნია სატურნირო პრაქტიკა და მომავალი წლიდან ფორმაში ჩასადგომად ბევრი სირბილი მოუწევს. სხვათა შორის, წლეულს არ ჩანდა ფრიმენიც, ოღონდ მხოლოდ სარბენ ბილიკებზე. მან სახალხოდ განაცხადა, შვებულებას ვიღებ ერთი წლითო, ვარჯიშს უკვე შევუდგა და მომავალი წლიდან სრული ძალით გაირჯება.

ხოლო პერეკის შესახებ ფრიმენი ამბობს: ძალიან მიხარია, რომ ბრუნდება. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ“.

პერეკი უფრო პრეტენზიულია. „ფრიმენის არასოდეს მშინებია და არც ახლა მეშინია — პასუხობს იგი სახალხო ბრალდებას, თითქოს ვიღაცის ოტელში შეჭრა მხოლოდ საბაბი იყო მეტოქისგან გასაქცევად — ცუდია, რომ მასთან უმნიშვნელოვანესი რანდევუ (იგულისხმება სიდნეის ოლიმპიადა) გამოვტოვე, მაგრამ მაშინ პანიკაში ვიყავი და სხვაგვარად არ შემეძლო“.

ლუსიენ რეჩალი, პერეკის ერთ-ერთი მწვრთნელი, გვაუწყებს, რომ მორბენალს ახლა მხოლოდ ორი რამ უნდა: ხიწყნარე და ვარჯიში. დანარჩენი — მერე.

**დავით გულუა**

# უპირველესი მემატიანე

დღეს ავთანდილ ციბაძეს დაკრძალავენ.

მიწა მიიბარებს ჩვენი სპორტის უპირველეს მემატიანეს და მეცნიერებს.

ამიერიდან ქართული სპორტი გულმართალ და გულანთებულ ჭირისუფალს მოისაკლისებს და ეს სწორედ რომ აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება — უწინარესად იმ საქმისთვის, რისთვისაც ამდენი წელი შეუწირავს და ბოლომდე გახარჯულა, იმ ხალხისთვის, ვისთანაც ათწლეულობით უმეგობრია და ულვაწია. მეგობარი და პატივისმცემელი უამრავი ჰყავდა და არა მხოლოდ სპორტულ სამყაროში. ავთანდილ ციბაძე მრავალმხრივი ნიჭით და იშვიათი პიროვნული ხიბლით გამორჩეული გახლდათ და ამის გამოც ერთნაირი მოკრძალებით ეპყრობოდნენ პედაგოგიურ, სამეცნიერო, ჟურნალისტურ თუ სპორტულ წრეებში. პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი, პედაგოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი, კათედრის გამგე, დეკანი, ოლიმპიური აკადემიის დამაარსებელი და უცვლელი რექტორი, მრავალი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი... ამ მშრალი და არასრული ჩამონათვალის მიღმა დგას ღირსებითა და სიკეთით სავსე პიროვნება, დაუცხრომელი მკვლევა-



რი ჩვენი სპორტის ისტორიისა, შესანიშნავი მთხრობელი, მწიგნობარი და აღმზრდელი, კაცი, რომელმაც ღირსეულად იცხოვრა და ილვაწა.

ასეთი კაცები, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, ცოტანი შემოგვრჩნენ.

**ილზუგა ბერიშვილი**

სარბიელელები
სამძიმარს უცხადებენ
ჩვენს კოლეგას
გია ბლატონიშვილს
მამის
გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ
ჟურნალისტთა ასოციაცია
თანაუგრძნობს
სპორტულ ჟურნალისტს
გია ბლატონიშვილს
მამის
გარდაცვალების გამო

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ძლივს არ ვიჩხუბე!
## ლოს ანჯელესს პოტვინი შეურჩიეს



იშვიათი სანახაობა — მეკარეების ჩხუბი: ოტაველმა იანი ჰურმემ ლოსანჯელესელ ფელიქს პოტვინს ურტყა

**ოტავა 2:4 ლოს ანჯელესი (1:0 0:1 1:3)**
**1:0 ფიშერი (6), 1:1 მოდრი (33), 1:2 ჰაინცი (51), 2:2 პერსონი (54), 2:3 ვისნოვსკი (55), 2:4 დედმარში (60).**

აი, სეირი! ლამის მთელი მეორე პერიოდი მაყურებლებმა არა ჰოკეის, არამედ ხელჩართულ მუშტი-კრივს უცქირეს. ამ დაუნდობელ, სამკვდრო-სასიცოცხლო შეხლა-შემოხლაში მეკარეები და სათადარიგო ჰოკეისტებიც კი ჩაებნენ. ყველაფერი წამოიწყო ოტაველმა პოლიციელმა შეინ ჰნაიდამ, რომელიც მეტოქის ლიდერ ჯეისონ ელისონს წაეკინკლავა. მოჩხუბართა დაუწერელი კანონის თანახმად, ეს წესების აშკარა დარღვევაა და „მეფეებმა" მეტოქეს, ცხადია, არ აპატიეს. ელისონის დასაცავად სათადარიგო სკამიდან ადამ მაირიც კი წამოხტა, რის გამოც სტუმრებს ჩხუბში რიცხობრივი უპირატესობა შეექმნათ. ამან ოტაველთა ცივსისხლიან ფინელ მეკარე, იანი ჰურმეც კი გააფიცხა, რომელმაც ლოსანჯელესელი კოლეგა ფელიქს პოტვინი მოიგდო ხელთა და გემრიელადაც სცემა. „მეფეთა" გოლკიპერს არც ოტაველმა სათადარიგოებმა დააკლეს ხელი, საბრალომ ჩაფხუტიც ვერ მოიხსნა, თავისუფლად რომ ეჩხუბა. ამის შემდეგ ყინულზე შვიდი წუთით სიმშვიდე გამეფდა და ამასობაში სტუმრებმა ანგარიში გაათანაბრეს. მაგრამ ანდრე რუა არ დაწყნარდა. მან ისევ და ისევ პოტვინზე აღმართა ხელი, რამაც კვლავ აყალმაყალი გამოიწვია. თავად პოტვინი კი, რომელსაც ყველაზე მეტი მოხვდა, კმაყოფილი ჩანდა. „მე მებრძოლი სულისკვეთების კაცი ვარ და იმან, რაც დღეს ყინულზე ხდებოდა, ძველი დროის ჰოკეი გამახსენა" — თქვა მეკარემ მატჩის შემდეგ. მსაჯებმა მეტოქეები მთლიანობაში 252 საჯარიმო წუთით „დააჯილდოვეს", რეკორდი კი მაირმა დაამყარა — 47 საჯარიმო წუთი. მას სულ მცირე ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელის.

**ბოსტონი 5:0 მონრეალი (3:0 2:0 0:0)**
**1:0 როლსტონი (6), 2:0 ჰილბერტი (6), 3:0 ზამუნერი (7), 4:0 გერინი (32), 5:0 ზამუნერი (35).**

„არაჩვეულებრივი საღამო იყო. ოცნება ამიხდა" — ნამატჩევს გამარჯვებულთაგან ყველაზე მეტად ენდი ჰილბერტი ხარობდა. მან ხომ თავის პირველივე ნჰლ-ურ შეხვედრაში გოლი გაიტანა.

**ფილადელფია 2:1 დალასი (1:0 1:1 0:0)**
**1:0 გ. მიურეი (15), 1:1 რუჩინსკი (25), 2:1 პრიმო (32).**

**ნიუ ჯერსი 3:3 ედმონტონი (0:1 2:0 1:2 0:0)**
**0:1 გრინი (5), 1:1 ჰოლიკი (33), 2:1 მაკეი (37), 2:2 მორო (47), 3:2 მაკეი (56), 3:3 კომრი (59).**

რენდი მაკეიმ, როგორც იქნა, დაამტკიცა, რომ პურს მუქთად არ ჭამს და 2,17 მილიონს დამსახურებულად იღებს. ძალისმიერ ფორვარდს ამ დუბლამდე მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი სეზონში.

**ნეშვილი 6:2 ვანკუვერი (1:1 4:1 1:0)**
**1:0 კლასენი (4), 1:1 მ. სედინი (5), 1:2 ბლაჟაჩი (23), 2:2 არხიპოვი (26), 3:2 ბარტნელი (27), 4:2 ბერენცვაიგი (29), 5:2 რონინგი (39), 6:2 ტიმონენი (41).**

ახალგამომცხვარმა ნჰლ-ელმა, ნეშვილმა საშინაო წაუგებელი სერია უკვე 10 მატჩამდე (8 მოგება, 2 ფრე) გაზარდა. 4-4 ქულა მიითვალეს კლიფ რონინგმა და მცველმა კიმო ტიმონენმა.

**სამველ ლარიბიანი**

# ბიჭები გაცელქდნენ. დედასამშობლოს არ უჯერებენ



ვიაჩესლავ ფეტისოვი

**რუსებს** სირთულეები არ ჰქონდეთ, წარმოუდგენელია. 2002 წლის ოლიმპიადამდე სულ რაღაც ორმოცდაათი დღე დარჩა, ყველა წამყვანი ქვეყანა მშვიდად, გეგმაზომიერად ემზადება ჰოკეისტთა ამ მთავარი ტურნირისთვის. 22 დეკემბერი განაცხადების გამოქვეყნების ბოლო დღეა, ამ დროს კი რუსების ბანაკში სკანდალური სიტუაციაა.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა დღის წესრიგში თავკაცის ვინაობის საკითხი დადგა. ოფიციალურად ნაკრებს ბორის მიხაილოვი უნდა გაძღოლოდა, რომელსაც 2003 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ნჰლ-ში მოთამაშეებმა პროტესტი გამოთქვეს, ვიაჩესლავ ფეტისოვის კანდიდატურა ამოტივტივდა. ბოლოს რუსეთის ფედერაციამ პროფესიონალთა ზეწოლით არჩევნები ჩაატარა და მთავარ მწვრთნელად ფეტისოვი აირჩია. და აგორდა რუსეთის პრესა-ტელევიზიაში უკმაყოფილების ტალღა. ფეტისოვის მოწინააღმდეგეების მთავარი კოზირი ის გახლდათ, რომ მას არასოდეს უმუშავია თავკაცად და მისი სამწვრთნელო კარიერა მხოლოდ ნიუ ჯერსიში ერთ-ერთ ასისტენტად მუშაობით შემოიფარგლება. მოკლედ, რუსეთის საზოგადოება ძლივს შეეგუა ფეტისოვის დანიშვნას. მერე ამას ნჰლ-ელი რუსების ყოყმანი მოჰყვა, რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ თავისი ოლიმპიადაზე ასპარეზობა საეჭვო გახადა. თუ 41 წლის ლარიონოვის გაგება ადვილად შეიძლებოდა, რატომ ითრევენ ფეხს ფიოდოროვი, ზუბოვი და კიდევ სხვები, ძნელი ასახსნელია. საბოლოოდ ფეტისოვთან პირადი შეხვედრის შემდეგ ლარიონოვი და ფიოდოროვი დაჰპირდნენ მწვრთნელს, რომ ოლიმპიადაზე ითამაშებენ, ხოლო ზუბოვი არ გატყდა. მისი არგუმენტი კი ასეთია: რუსებს ჩემზე უკეთეს მცველები ჰყავთო. კიდევ უფრო საინტერესო ალექსეი ჟიტნიკის უარია, რომელმაც ბოლო მომენტში უკანა ნაკრებს. რუსეთის ნაკრებში არაერთხელ ნათამაშევ ჟიტნიკს ახლა გაახსენდა, რომ ამ ბოლო ხანს ნავსხულობით უკრაინაში ისვენებს (იგი კიევში დაიბადა და ოდნავ უხერხულად გრძნობს თავს, რუსეთის ღირსებას რომ იცავს).

კიდევ ერთი აურზაური მეკარეებთან დაკავშირებით მოხდა. ნიკოლაი ხაბიბულინის გარდა რუსებს ნჰლ-ში ძლიერი მეკარე არ ჰყავთ. ჰოდა, თურმე ეგენი ნაბოკოვის გარუსება სდომებიათ. მართალია, ნაბოკოვს რუსეთის პასპორტი აქვს, მაგრამ თავის დროზე ყაზახეთის იუნიორთა ნაკრებში უთამაშია, რაც ავტომატურად უღობავს გზას. ეს ოფიციალურად IIHF-მაც დაადასტურა, მაგრამ ფეტისოვის ასისტენტად დანიშნულმა ცნობილმა სტატისტიკოსმა იგორ კუპერმანმა (კუპრინმა) რაღაც შეუსაბამობა გამოძებნა საერთაშორისო ფედერაციის კანონებში და ახლა რუსები საერთაშორისო სპორტულ სასამართლოში ჩივიან. სავარაუდოდ ეს საკითხი ნაახალწლევს გაირკვევა, მანამდე კი რუსები ნაბოკოვის განაცხადში შეყვანას აპირებენ. საბოლოო სიას ისინი 22 დეკემბერს გამოაქვეყნებენ, ამჟამად კი ფეტისოვმა 8 ხელშეუხებელ ჰოკეისტს (მათი ვინაობა ადრევე გახდა ცნობილი) 10 მოთამაშე დაუმატა. აღსანიშნავია, რომ ამ სიებში მხოლოდ ერთია შინაურ ჩემპიონატში მოასპარეზე მეკარეთა პოზიცია, როგორც უკვე ითქვა, ხუსტია და მესამე გოლკიპერად იაროსლაველის „ლოკომოტივის" კარის დარაჯი ეგორ პოდომაცკი დასახელდა. სხვათა შორის, რუსეთში იმაზეც დიდი აყალმაყალი ატყდა, რომ ნაკრებში სულ ნჰლ-ელები იქნებიან. ფეტისოვს დიდი დიპლომატია დასჭირდა, რათა საზოგადოება დაერწმუნებინა, რომ ოთხ-ხუთ არანჰლ-ელს აიყვანდა. მერე მან ეს რიცხვი ორ-სამამდე შეამცირა და საბოლოოდ მხოლოდ ერთი მეკარეღა დატოვა.

ამ ყველაფერს თუ გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რა ფეთქებად სიტუაციაში აღმოჩნდა ფეტისოვი. ცხადია, მას კრახს, რომ იტყვიან, სიკვდილამდე არ აპატიებენ. თუმცა, მიუხედავად ამდენი სირთულისა, რუსებს საკმაოდ კარგი შანსი აქვთ. ზემოთჩამოთვლილი რამდენიმე ჰოკეისტი რომც გამოაკლდეთ, მათ მაინც ძლიერი შემადგენლობა დარჩებათ. თან ის, რომ ოლიმპიადა დიდ, ევროპული სტანდარტების მოედნებზე გაიმართება, სისწრაფით ცნობილ რუსებს დიდ უპირატესობას ანიჭებს.

**სამველ ლარიბიანი**



# მაგდალენა პირველი ნახევარია

**ქალთა** ბიათლონის შარშანდელი და წლევანდელი სეზონები ჯერჯერობით არაფრით განსხვავდება: ყველა ეტაპზე გავარდება ხოლმე წინ მაგდალენა ფორსბერგი, თითქმის უკლებლივ ამსხვრევს სამიზნეებს და სისწრაფითაც ყველას სჯობნის. ასე იყო შარშან 14-ჯერ და წლეულს ზედიზედ 5-გზის — ჟურნალისტებს საკვები გამოელიათ, აღარ იციან, რა დაწერონ. ახლა სხვა ბიათლონისტებს ერთადერთი მიზანი აქვთ — ვინმემ როგორმე ფორსბერგს ერთი ეტაპიც თუ მოუგო, ავტომატურად გმირი გახდება. ამიტომაც ცდილობენ, მაგრამ ვერც სლოვაკურ ბრეზნო ოსბრლეში გახდნენ რამეს. 15-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლას შვედმა 49 წუთი, 46,9 წამი მოანდომა და ეს საუკეთესო შედეგი იყო. სხვებზე თუ რამე ითქმის, უპირველესად ფინელ კატია ჰოლანტიზე, რომელმაც თოფი უხეიროდ მოიხმარა (3-ჯერ ააცილა, ფორსბერგმა — ერთხელ), მაგრამ ყველაზე მკვირცხლად ისრიალა და მე-3 ადგილი დაიკავა. ფინელის პროგრესი აშკარაა, შარშანდელ მსოფლიოს თასზე იგი გამოდიოდა პრინციპით „მთავარია მონაწილეობა", რაც 72-ე ადგილით გამოიხატა.

მაგდალენა ფორსბერგი 34 წლისაა, მის მეუღლე ჰენრიკ ფორსბერგი გუშინ იმავე გეოგრაფიულ წერტილში 10-კილომეტრიან სპრინტზე ირჯებოდა. ბატონი ფორსბერგი ოჯახური ტრიუმფის დაგვირგვინებას ეშურებოდა, მაგრამ გამოხტა 25 წლის ავსტრიელი კრისტოფ შუმანი და 12,5 წამით გაუსწრო. ავსტრიელს მაინცდამაინც ყველაზე ცქვიტად არ უსრიალია, მაგრამ ჩუბინობის გამოცდა ფრიადზე ჩააბარა, საერთოდ არ აუცდენია. ეს მისი პირველი მოგებული ეტაპი იყო. არც უკრაინელი ანდრიი დერიზემლია ყოფილა როდესმე პოდიუმების სტუმარი, ამჯერად კი მესამე საფეხური დაიჭაშნიკა. მოკლედ, ის ადგილები, სადაც ადრე რაფაელ პუარეს (მსოფლიოს თასის მფლობელი) და ოლე ეინარ ბიორნდალენს ვხედავდით, სლოვაკეთის კურორტზე ძირითადად უცნობებს დარჩათ.

**დავით გულუა**

| ქალები |
| --- |
| 15 კმ. ინდივიდუალური რბოლა |
| 1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 49.46,9; 2. ოლენა ზუბრილოვა (უკრაინა) 52.40,6; 3. კატია ჰოლანტი (ფინეთი) 52.49,9 |
| საერთო ჩათვლა |
| 1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 255; 2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) 188; 3. ოლენა ზუბრილოვა (უკრაინა) 174 |

# ქარწაულებელნი
## მოთხილამურეებს დარიც ემტერებათ და ავდარიც

**მსოფლიოს** თასის ზოგიერთი ადრეული ეტაპი იმიტომ გაუქმდა, რომ მზე ანათებდა და კურორტებზე თოვლი არ იდო, ახლა კიდევ პირიქით, თოვლსა და ნამქერში გაეხვა მთელი ევროპა. შვეიცარიულ სანქტ მორიცში ისეთი ქარი ზუზუნებს (წამში 60-დან 80 მეტრი სიჩქარით), დიდი გაბედვა უნდა თხილამურზე შედგომას და სრიალს. მით უფრო, როცა მსოფლიოს თასის მონაწილეებზეა საუბარი, რომლებიც თვითონაც მაღალ სიჩქარეებზე სრიალს არიან ნაჩვევი. მოკლედ, ქალთა სწრაფდაშვების ეტაპის ერთი საწვრთნელი სესია გააუქმეს და ქარმა თუ კვლავ ასე იქროლა, შეიძლება ეტაპიც აღარ ჩატარდეს. ამაზე მომავალ კვირას, ახლა კი ვაჟთა გიგანტური სლალომის ანგარიში ინებეთ:

**მხოლოდ მე-18 ადგილი დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონმა მიხაელ ფონ გრუნიგენმა, ვერც სეზონის აღმოჩენანი — ფრანგი ფრედერიკ კოვილი და ამერიკელი ბოდე მილერი მოხვდნენ პოდიუმზე და საერთოდ, ბევრმა მოთხილამურემ გაიფუჭა საქმე მოუხერხებელ ბოლო „ჭიშკართან".** მათ შორის, არატრადიციული სათხილამურო ქვეყნის მოქალაქე კრისტიან სიმარი ბირკნერმა (არგენტინელია), რომელიც პირველი სრიალის შემდეგ 30-ე იყო და პირველი სათასო ქულების მოხვეჭაც შეეძლო.

გაიმარჯვა ვეტერანმა შვედმა ფრედერიკ ნიბერგმა, რომელიც წლების მანძილზე სამთო თხილამურობის სტაბილურ საშუალოდ ითვლება, თუმცა ხანდახან თავს წამოყოფს ხოლმე. ამგვარად მოიგო ნიბერგმა თასის 7 ეტაპი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატების და ოლიმპიადების მედალს ჯერ ვერ ეღირსა. ნიბერგს განაღდებული აქვს შვედეთის ნაკრებში სოლტ ლეიკის სიტის ოლიმპიადაზე ასპარეზობა, რადგან სკანდინავიელებს მისი დონის კაცი მეორე არა ჰყავთ, ხოლო ბენიამინ რაიხმა ავსტრიის გუნდში მოსახვედრად ბევრად უფრო სასტიკი კონკურსი უნდა გაიაროს. 23 წლის მოთხილამურემ ერთ-ერთი ნაბიჯი წერილში აღწერილ ეტაპზე გადადგა, სლოვენიურ კრანსკა გორაში იგი მეორე იყო და სლოვენებმაც გაიხარეს: პოდიუმის მესამე საფეხურზე მათი პავლოვჩიჩი ავიდა.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
| --- |
| გიგანტური სლალომი |
| 1. ფრედერიკ ნიბერგი (შვედეთი) 2.01,66; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2.01,74; 3. ურომ პავლოვჩიჩი (სლოვენია) 2.02,00 |
| საერთო ჩათვლა |
| გიგანტური სლალომი |
| 1. ფრედერიკ კოვილი (საფრანგეთი) 309; 2. ფრედერიკ ნიბერგი (შვედეთი) 216; 3. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 201 |
| [illegible] |
| 1. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) 551; 2. ბოდე მილერი (აშშ) 340; 3. ლასე კიუსი (ნორვეგია) 314 |




ცენტრში ტრადიციულად გამარჯვებული ფრედერიკ ნიბერგი დგას, მარცხნივ ბენიამინ რაიხია, მარჯვნივ — მასპინძელი ურომ პავლოვჩიჩი



# ყოჩაღ, მუჰამედ!

ესეც ჰოლივუდი და მთელი ამბავი! უკვე მერამდენედ გვათქმევინებენ, რომ უილ სმიტმა მუჰამედ ალის როლი ითამაშა ფილმში „ალი“. თუმცა ამას აღარ სჯერდებიან და ახლა გ[illegible]ბნებიან, რომ მსახიობს მამაკაცის როლის საუკეთესოდ შესრულებისთვის „ოქროს გლობუსს“ მი[illegible]ცემენ. დაჯილდოების ცერემონიალი 20 იანვარს გაიმართება, ხოლო „ოქროს გლობუსს“ „ოსკარი“ მი[illegible]დევს და, თუ არ ვცდებით, ხშირად ამ ჯილდოს სწორედ „ოქროს გლობუსის“ მფლობელს აძლევენ ხოლმე.



# გეხვეწები, სანტა...

„დალას მავერიქსი“ „მილოუკი ბაკსს“ რომ ხვდებოდა, 8 წლის ბლეიკ ოლივიერა სანტა კლაუსს პლაკატით შესთხოვდა, ერთადერთი, რაც მინდა, მავერიქსელი დირკ ნოვიცკის „ოლ სტარში“ მოხვედრააო.




# ხტომა ქუსლით

ოლიმპიური ჩირაღდანი კი მიდის და მიდის სოლტ ლეიკ სიტისკენ, თან ნაირ-ნაირი ხერხით. მაგალითად, კელი ჰილიმანი ხტის და ქუსლებს ერთმანეთსურტყამს.



# ჩახლართული საქმე



REUTERS მოსკოვიდან

მოსკოვში, „ბალტიკის თასზე“, რუსეთი შვედეთს რომ ეთამაშებოდა, რუსი ანტონ ბუტი შვედ მეკარე როლფ ვანჰაინენს ასე ჩაეხლართა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა ღევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge